ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საქართველოს ისტორიის ს/ს ინსტიტუტი

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

ძველი და შუა საუკუნეების საქართველო

ეძღვნება აკად. ნიკოლოზ (ნიკო) ბერძენიშვილის
დაბადებიდან 130 წლის იუბილეს

თ ე ზ ი ს ე ბ ი

5-6 დეკემბერი, 2025 წელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საქართველოს ისტორიის ს/ს ინსტიტუტი

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

ძველი და შუა საუკუნეების საქართველო

ეძღვნება აკად. ნიკოლოზ (ნიკო) ბერძენიშვილის
დაბადებიდან 130 წლის იუბილეს

თ ე ზ ი ს ე ბ ი

5-6 დეკემბერი, 2025 წელი

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

ჯაბა სამუშია

ისტორიის დოქტორი, პროფესორი, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, თსუ-ს რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ეკატერინე ნავროზაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი

ალექსანდრე ბოშიშვილი

ისტორიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, თსუ-ს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ლერი თავაძე

ისტორიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, თსუ-ს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ლუკა ნებიერიძე

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნიკოლოზ (ნიკო) ბერძენიშვილი (1895-1965) – ქართველი ისტორიკოსი, პროფესორი (1939 წ.), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1943 წ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944 წ.), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946 წ.). 1917 წელს დაამთავრა ბათუმის გიმნაზია და იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ გააგრძელა სწავლა, დაბრუნდა და მუშაობდა მასწავლებლად. 1920-26 წლებში სწავლობდა თსუ-ში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე (ისტორიის განხრით). ივანე ჯავახიშვილის შუამდგომლობით დატოვეს უნივერსიტეტში, საქართველოს ისტორიის კათედრაზე. 1929 წელს დაინიშნა თსუ-ის საქართველოს ისტორიის კაბინეტის გამგედ; აქვე შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. პარალელურად იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომელი (1929-36 წწ.). 1939-1958 წლებში მუშაობდა ისტორიის განყოფილების გამგედ ჯერ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში, შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში. 1948-1965 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორი, თსუ-ის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე (1946-1956 წწ.), 1951-1957 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. ნიკო ბერძენიშვილის კვლევის სფერო საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა დარგსა და ყველა ეპოქას მოიცავდა. მის ნაშრომებში გამოკვლეულია შუა საუკუნეების საქართველოს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურის და საეკლესიო ისტორიის, პერიოდიზაციის, ისტორიული გეოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის, დიპლომატიკის, რუსთველოლოგიის, სხვა ხალხებთან ურთიე-

რთობისა და სხვა საკითხები. სოციალური ისტორიის კვლევაში გამოყოფილია ოთხი ურთიერთდაკავშირებული პრობლემა: ფეოდალური მიწათმფლობელობა, ბატონყმობა, სათავადოები და საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია. მის სახელს უკავშირდება საქართველოს ისტორიის მაკეტის (1940 წ.), ხოლო შემდეგ სასკოლო სახელმძღვანელოს (1943 წ.) გამოქვეყნება, რომელიც აკად. ი. ჯავახიშვილისა და აკად. ს. ჯანაშიას თანაავტორობით იყო მომზადებული. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელომ საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XX ს. 50-იან წლებში საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს შესაქმნელად ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით გაშლილ მუშაობას. 1958 წელს გამოქვეყნდა დამხმარე სახელმძღვანელოს I ტომი და სახელმძღვანელო VIII-X კლასებისათვის, უძველესი დროიდან დღემდე (ავტორები: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. კაჭარავა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია და პ. რატიანი). ბერძენიშვილის შრომებმა – „ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში“, „ნარკვევი XIII-XVI საუკუნეები საქართველოს ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ისტორიიდან“ (რუსულ ენაზე), „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“, „XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან“, „კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში“ და სხვა, აგრეთვე ისტორიული დოკუმენტების მრავალრიცხოვანმა პუბლიკაციებმა – შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის მიმართულება განსაზღვრა. მისი ნაშრომები, და საარქივო მასალის ნაწილი გაერთიანდა 10 ტომში და გამოქვეყნდა (1964-1990 წწ.) „საქართველოს ისტორიის საკითხების“ სახელწოდებით. ნიკო ბერძენიშვილი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი ინიციატივით შეიქმნა საქართველოს ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოება, რომლის პირველი თავმჯდომარეც თვითონ იყო. ნიკო ბერძენიშვილი აგრძელებდა აკად. ივანე ჯავახიშვილისა და აკად. სიმონ ჯანაშიას ტრადიციებს არქეოლოგიური სამუშაოების წარმართვის საქმეშიც. იგი ხელმძღვანელობდა

არქეოლოგიურ და ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსპედიციებს. დიდია მისი დამსახურება არაერთი გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის აღზრდის საქმეში. იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მათ შორის, 1947 წელს ნიკო ბერძენიშვილს, ივანე ჯავახიშვილთან და სიმონ ჯანაშიასთან ერთად, საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნისათვის მიენიჭა სახელმწიფო პრემია. ნიკო ბერძენიშვილი დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. მისი პირადი არქივი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

მოხსენებათა თეზისები

თეკლა ნოზაძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ლაბორანტი
თორნიკე ჩილინგარაშვილი

გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მაცხოვრებელთა ტანსაცმლის აქსესუარები ნარეკვავის სამაროვნის მასალების მიხედვით

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ტანსაცმლის აქსესუარების ფართოდ გავრცელება ადრებრინჯაოს ხანაში იწყება. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში უკვე გვხვდება მეტად მრავალგვარი დანიშნულებისა და ფორმის აქსესუარები, ესენია: სარტყელი, აბზინდა, ბალთა, ღილი/კილიტი, საკინძი და დუგმა. ხსენებული არტეფაქტების მნიშვნელოვანი ნაწილი ცალ-ცალკე შესწავლილი და განხილული აქვთ სხვადასხვა მეცნიერებს (მაგალითად ბრინჯაოს გრავირებული სარტყელები შეისწავლა მ. ხიდაშელმა, აბზინდები ნ. კალანდაძემ და ა. შ.), თუმცა ამ დრომდე ხსენებული აქსესუარები ერთად არ ყოფილა განხილული. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენდა აღნიშნული სახის არტეფაქტების ერთ კონტექსტში განხილვა და საკითხთან დაკავშირებულ ისეთ კითხვებზე პასუხების გაცემის მცდელობა, როგორებიცაა: რომელი აქსესუარი იყო ყველაზე მეტად გავრცელებული? განსხვავდებოდა თუ არა აქსესუარის გამოყენება სქესის მიხედვით? რა მასალისაგან ამზადენდნენ ამ ტიპის ნივთებს? და ა.შ.

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე ათასობით ასეთი ნივთია აღმოჩენილი, ყველა მათგანის შესწავლას მასშტაბური, რამდენიმე წლიანი კვლევა სჭირდება, გამომდინარე აქედან კვლევის ამ ეტაპზე შევისწავლე აღნიშნული პერიოდის, მხოლოდ ერთ-ერთ ეტალონურ არქეოლოგიურ ძეგლზე – ნარეკვავის სამაროვანზე

აღმოჩენილი ტანსაცმლის აქსესუარები. შედეგად გაირკვა, რომ ტანსაცმლის აქსესუარები ძირითადად მამაკაცთა სამარხებშია დადასტურებული, ბრინჯაოს ფირფიტოვან სარტყლებს მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლები იყენებდნენ და სხვა.

ნიკოლოზ ხასაია
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი ნინო სილაგაძე

ძალისის დიონისური მოზაიკის მიმართება ანტიოქიის მოზაიკურ სკოლასთან: აკრატოსის და ევროკინეს მოზაიკის მაგალითზე

მუხრანის ველზე აღმოჩენილი ძალისას რომაული თერმული კომპლექსის ცენტრალური დარბაზის – „დიონისეს სახლის“ მოზაიკა ახ. წ. III-IV საუკუნეების მიჯნით თარიღდება. მოზაიკის მთავარი სიუჟეტი დიონისურ თემატიკას ასახავს და გამოირჩევა შესრულების მაღალი დონით. მკვლევართა ნაწილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ძალისას მოზაიკა მჭიდროდ უკავშირდება ანტიოქიის მოზაიკურ სკოლას და მისი გავლენითაა შექმნილი, მიუხედავად რამდენიმე განყენებული მახასიათებლებისა.

ნაშრომის უმთავრესი მიზანია ძალისას „დიონისეს სახლის“ მოზაიკის მხატვრული გააზრება და მისი შედარება ანტიოქიაში აღმოჩენილ, ე. წ. „აკრატოსის და ევროკინეს“ მოზაიკასთან „მენადის სახლში“. აღსანიშნავია, რომ ორივე მოზაიკა იზიარებს დიონისურ თემატიკას, მაგრამ განსხვავებულად გადმოსცემს სიუჟეტს: ძალისაში დიონისეს ტრიუმფალურ მსვლელობას ვადევნებთ თვალს მის მეუღლესთან ერთად, ხოლო ანტიოქიაში – აკრატოსსა და ევროკინეს ვხვდებით.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთება ის დეტალები, რომელიც თვალსაჩინოს გახდის ძალისას მოზაიკის სპეციფიკურ და ამავდროულად იმ დეტალებს, რომლებიც მან უცხო კულტურისგან მიიღო. კერძოდ, გამოვლინდება, თუ როგორ იმოქმედა მოზაიკური ხელოვნების კონსერვატიულმა ხასიათმა რომაული ხანის ქართულ მოზაიკაზე და ამავდროულად, რა ინდივიდუალური, ლოკალური თავისებურებები განასხვავებს მას ანტიოქიური სკოლისგან. ეს კვლევა ხელს შეუწყობს იმპერიული ხელოვნების გავრცელების გზების, ლოკალური ინტერპრეტაციებისა და ძველი საქართველოს კულტურული კავშირების შესწავლას.

ლალი ელიზბარაშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – თსუ-ს დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ასისტენტ-პროფესორი ნინო გაბინაშვილი

ქალის რელიგიურ-პოლიტიკური როლი შუა საუკუნეების საქართველოში

ქრისტიანობა ჩაისახა I საუკუნეში, რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში – პალესტინაში. მისი სწავლების ფესვები იუდაიზმშია. ახალი რელიგია ქადაგებდა ადამიანთა შორის ურთიერთსიყვარულს, ჩაგრულებს კი ამქვეყნიური ტანჯვის სანაცვლოდ სიკვდილის შემდეგ სასუფეველსა და სამოთხეს ჰპირდებოდა. თავდაპირველად ქრისტიანობა ვრცელდებოდა პალესტინასა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ებრაულ დასახლებებში. პავლე მოციქულის ქადაგებების წყალობით ქრისტიანობამ გაიჩინა მიმდევრები სხვა ხალხებშიც. თუკი ქრისტიანობა IV საუკუნეში რომის იმპერიასა და მის კულტურულ არეალში ვრცელდებოდა (მათ შორის: სომხეთი, საქართველო და ა.შ), შემდგომ გავრცელება ჰპოვა ანგლოსაქსებსა და სლავებში, უფრო გვიან კი XIII-XIV სა-

უკუნეებში შეაღწია ბალტიისპირეთისა და ფინეთის ხალხებშიც. აღსანიშნავია ფაქტი, რომ ახალმა რელიგიამ დიდი გავლენა იქონია მთელი რიგი სახელმწიფოების პოლიტიკური ორიენტაციის ჩამოყალიბებაში. შუა საუკუნეები გაჟღენთილია პროვიდენციალიზმით, რასაც თავის სასარგებლოდ იყენებდნენ ქვეყნის მმართველები, ხალხის გაერთიანებისა და მორჩილებაში ყოფნის მიზნით. გარდა პოლიტიკისა, ქრისტიანობამ დიდი როლი ითამაშა ქალის პოლიტიკურ-რელიგიური უფლებების განსაზღვრაში ისტორიულ ასპარეზზე. ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებსა და ფაქტებზე დაკვირვებით ნათლად ვხედავთ, რომ მთელ რიგ ხალხებში ქრისტიანობის გამავრცელებლად ქალი გვევლინება, რომელიც რელიგიურ პროცესში ჩართულობით, ადგილს იმკვიდრებს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ამის დამადასტურებლად შეგვიძლია რამდენიმე ცნობილი ფაქტის მოყვანა. ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე I დიდი, იყო პირველი მმართველი, რომელმაც შეწყვიტა ქრისტიანთა დევნა და გამოსცა მილანის ედიქტი (313 წელს), მისი რელიგიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა დედამისმა – ქრისტიანმა დედოფალმა ელენემ. „მოქცევაი ქართლისაი“-ში ვხედავთ განმანათლებელ ქალ ნინოს, რომელმაც პირველად ქრისტიანობაზე მოაქცია ქართლის მეფის მირიანის მეუღლე დედოფალი ნანა, ხოლო შემდგომ თავად მეფე. ამ მაგალითებით ჩანს, თუ რამხელა როლი ითამაშა ქრისტიანულმა რელიგიამ ქალის ცხოვრებაში, თუკი აქამდე ისინი მხოლოდ დინასტიური ქორწინებებით იყვნენ ცნობილნი ისტორიაში, და ძირითადად მათი სახელმწიფო როლი ორი ქვეყნის დაახლოებისთვის იყო საჭირო. ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ მათ ვხედავთ პოლიტიკურ ასპარეზზეც, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პიროვნებებად. და ბოლოს გრიგოლ ტურელის „ფრანკთა ისტორიიდან“ შეგვიძლია ასევე მოვიყვანოთ ამონარიდი, ფრანკთა მეფის, ხლოდვიგის გაქრისტიანების შესახებ: „მაშინ დედოფალმა სთხოვა რეიმსის ეპისკოპოსს მოეწვია ხლოდვიგი ფარულად, რათა ზეგავლენა მოეხდინა მასზე, გაქრისტიანებულიყო“. ჩემი რეფერატი სწორედ ქალის რელიგიურ და პოლიტიკური როლს ეხება საქართველოში. ამ როლის განსაზღვრას კი შუა საუკუნეების წყაროების რეპრეზენტაციით შევეცდები.

გიორგი თხილაიშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

არიანელობა და ქართლი IV საუკუნის I ნახევარში

არიოზის სწავლება ეკლესიაში IV საუკუნეში გაჩნდა. იგი უარყო 325 წლის ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ. მიუხედავად ამისა არიანელობამ მყარად მოიკიდა ფეხი ეკლესიაში, განსაკუთრებით კი ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში.

არიანელობის გავრცელება ბიზანტიის იმპერიაში და ქართლის გაქრისტიანება ქრონოლოგიურად ერთმანეთს ემთხვევა. საინტერესოა შემოაღწია თუ არა არიანელობამ ქართლშიც?

იმის გასარკვევად გავრცელდა თუ არა არიანელობა ქართლში ალბათ, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ ვინ აკურთხა მცხეთის პირველი ეპისკოპოსი და გამოდიოდა თუ არა იგი არიოზის სწავლების წინააღმდეგ. ქართულ ისტორიოგრაფიაში გელასი კესარიელის ცნობა იოანეს ეპისკოპოსად ალექსანდრე კონსტანტინეპოლელის მიერ კურთხევის შესახებ ნაკლებადაა გაზიარებული, რადგან კონსტანტინეპოლი 326 წლისთვის თავადაც საეპისკოპოსოს წარმოადგენდა.

გასაზიარებელია მოსაზრება, რომ ანტიოქიის პატრიარქ ევსტათის მიერ იოანეს ეპისკოპოსად კურთხევის შესახებ მოცემული ეფთიმე მცირეს ცნობა რეალობას ასახავს (აღნიშნულ ცნობას სანდოდ თვლის: გ. ნასრიძე, ა. ჯაფარიძე და ვ. გოილაძე). აღნიშვნის ღირსია, რომ ანტიოქიის ეკლესიის გავლენის სფერო ამ პერიოდისთის მცირე აზიასთან ერთად სამხრეთ კავკასიასაც მოიცავდა. როგორც ჩანს ანტიოქიის საპატრიარქოს და მცხეთის საეპისკოსოს შორის შემდგომ პერიოდშიც მჭიდრო კავშირი არსებობდა. ამის დამადასტურებელია ვახტანგ გორგასალის მმართველობისას ანტიოქიის პატრიარქის მიერ მცხეთის პირველი კათალიკოსის კურთხევაც.

მნიშვნელოვანია, რომ თავად ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი 325 წელს მონაწილეობას იღებდა პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაში. სადაც აქტიურად გამოდიოდა არიოზის სწავლების წინააღმდეგ. ამიტომაც ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მას მცხეთის ეპისკოპოსად ისეთი სასულიერო პირი ეკურთხებინა, რომელიც თავადაც არ იზიარებდა ნიკეის მრწამსს.

იოანეს შემდეგ ეპისკოპოსების იაკობის და იობის შესახებ არ გვაქვს ცნობა, რომ მათ ნიკეის მრწამსი უარყვეს.

ძველ ქართულ ისტორიულ, ჰაგიოგრაფიულ და ლიტერატურულ ტექსტებში არ ვხვდებით ძე ღვთისას „ქმნილად", „არშობილად" ან „არამსგავსად მამისა" ტერმინით მოხსენიების შემთხვევას.

ისტორიულ წყაროების ანალიზი გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ არიანელობა, რომელიც ქრისტიანული ეკლესიისთვის საკმაოდ დიდი გამოწვევა იყო, ქართლში არ შემოუღწევია. მცხეთის საეპისკოპოსო თავისი დაარსებიდანვე იყო ნიკეის მრწამსის მატარებელი.

ჟანა გოგიაშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ლერი თავაძე

ეგრისში „დიდი ომიანობის" დაწყების მიზეზების შესახებ

მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბიზანტია-ირანის საუკუნოვან დაპირისპირებას, რომელიც ჯერ კიდევ რომის იმპერიის არსებობის დროიდან იწყება და შემდეგ ბიზანტიის იმპერიის, როგორც რომის სამართალმემკვიდრის შექმნის მერე კვლავ გრძელდება.

მათი ინტერესები ხშირად იკვეთებოდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, რაც კონფლიქტებს წარმოშობდა. ქართლი და ეგრისი,

რომელიც მდებარეობდნენ მათ შორის, ხშირად იყო ომის არეალი. VI საუკუნე ორივე იმპერიისთვის ე.წ. „ოქროს ხანას“ წარმოადგენდა. ამ დროს ბიზანტიას მართავდა იმპერატორი იუსტინიანე I (527-565 წწ), ხოლო ირანის შაჰი 531 წელს გახდა ხოსრო I ანუშირვანი (531-579 წწ).

531 წლის ბოლოს ბიზანტიის ელჩები ტიგროსის ნაპირებთან საზავო მოლაპარაკებას აწარმოებენ ხოსროსთან. საწყის ეტაპზე მათ შორის ზავის დადება არ მოხერხდა, თუმცა ე.წ. „საუკუნო ზავი“ მაინც დაიდო 532 წელს, რომლის პირობები არცერთი მხარისთვის არ იყო ხელსაყრელი. მათ დაკავებული ტერიტორიების დაბრუნება მოუწიათ. აღნიშნული ზავის მიუხედავად, ირანსა და ბიზანტიას შორის ომი მაინც დაიწყო 540 წელს, როდესაც ხოსრო I ანუშირვანი შევიდა სირიაში და დაიკავა ქალაქი ანტიოქია. 541 წლიდან ეგრისის სამეფო, სადაც ამ დროს გუბაზ II მეფობდა, ჩართული აღმოჩნდა ომში, რომელიც „დიდი ომიანობის“ სახელით არის ცნობილი და დაახლ. 20 წელიწადს გაგრძელდა.

ჩვენს მოხსენებაში განხილული იქნება ომის დაწყების მიზეზები და დაპირისპირებული მხარეების ძირითადი მიზნები. ამ მიზნით გამოყენებულია ისტორიული წყაროები: პროკოპი კესარიელი და აგათია მირინელი, ასევე, სპეციალური ლიტერატურა, მათ შორის შემდეგი ავტორების ნაშრომები: ივ. ჯავახიშვილი, ნ. ლომოური, ჯ. სტეფნაძე, ლ. თავაძე, ნ. მურღულია.

აბელ გიგიბერია
საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი ლალი ფირცხალავა

მენანდრე პროტიქტორის ცნობები სვანეთის შესახებ

სტატია ეხება VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის, მენანდრე პროტიქტორის, ცნობებს სვანეთის შესახებ, როგორც

საქართველოს ისტორიის განსაზღვრული პერიოდის რეკონსტ-
რუქციისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. მენანდრე პრო-
ტიქტორის შრომები, რომელიც აგრძელებს აგათია სქოლასტიკო-
სის „ისტორიას“, მოიცავს 558-582 წლების ამბებს და დიდ ადგილს
უთმობს ბიზანტია-სპარსეთს შორის დადებულ ორმოცდაათწ-
ლიან ზავს (562 წ.) და ამ ზავის დადებისას მიმდინარე მოლაპა-
რაკებებს, სადაც სვანეთის საკითხი ორ იმპერიას, ბიზანტიასა და
სპარსეთს შორის უთანხმოების საგანი იყო.

მენანდრე პროტიქტორის ნაშრომი ფრაგმენტულადაა მოღწე-
ული ჩვენამდე (77 ნაწყვეტი, საიდანაც 15 სვანეთს ეხება), თუმცა
ის ნათლად აჩვენებს სვანეთის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას,
როგორც ბიზანტიისათვის, ასევე სპარსეთისთვის. სპარსეთში
მივლინებული ბიზანტიის ელჩი პეტრე ირწმუნებოდა, რომ სვა-
ნეთი რომაელებს ეკუთვნოდათ და ლაზთა მეფეები ნიშნავდნენ
სვანეთის წინამძღოლებს, ჯერ კიდევ იმპერატორ თეოდოსი I-დან
(379-395 წწ) მოყოლებული. სვანეთში მყოფ სარდალ მარტინესსა
და სვანებს შორის არსებული უთანხმოების გამო ლაზთა მეფემ
სვანეთს სურსათის გაგზავნა შეუწყვიტა, რის შემდეგაც უკმაყო-
ფილო სვანებმა სპარსელებს მიმართეს დახმარებისთვის, რომ-
ლებმაც განდევნეს სვანეთიდან ბიზანტიელები.

ქართველ ისტორიკოსთა – ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯა-
ნაშიას, სიმონ ყაუხჩიშვილის, ირაკლი ბერიძის, გიორგი გოზა-
ლიშვილის, გიორგი ათანაშვილის, ნოდარ ლომოურის, დავით
მუსხელიშვილისა და თამაზ ბერაძის კვლევები ადასტურებს, რომ
სვანეთის საკითხი არა მხოლოდ იმპერიათა ურთიერთობების,
არამედ საქართველოს შიდა პოლიტიკური ისტორიის გასაგება-
დაც უმნიშვნელოვანესია, მიუხედავად ცალკეულ საკითხებზე
შეხედულებათა სხვადასხვაობისა. თითოეული მათგანის დასკვნა
გვიჩვენებს, რომ სვანეთი VI ს-ში აქტიურად იყო ჩართული რეგი-
ონულ პროცესებში და მისი ბედი მჭიდროდ უკავშირდებოდა რო-
გორც ბიზანტიის, ისე სპარსეთის პოლიტიკურ ამბიციებს.

დაჩი ორაგველიძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს მოწვეული ლექტორი
აკაკი ჩიქობავა

ჰაბიბ იბნ მასლამა და არაბობის გავლენა ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე

VII საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს საზღვრებთან არაბები გამოჩნდნენ, მათი წარმატება აიხსნებოდა არა მარტო ჯარის სიძლიერითა და მაღალი საბრძოლო თვისებებით, არამედ შემწყნარებლური სარწმუნოებრივი პოლიტიკითა და შედარებით მსუბუქი საგადასახადო სისტემით. დაპყრობილი ქვეყნების ხალხს არაბები „სულჰისა და ამანის“ (ზავისა და უშიშროების) ხელშეკრულებებს ანუ „დაცვის სიგელს“ გადასცემდნენ. იგი წარმოადგენდა საბუთს, რომელიც განსაზღვრავდა ყველანაირ ურთიერთობას დამპყრობელსა და დაპყრობილს შორის. სწორედ ასეთი სამშვიდობო ხელშეკრულება იყო ჰაბიბ-იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“.

მოხსენებაში საუბარი იქნება „დაცვის სიგელის“ პოლიტიკურ-ეკონომიკურ შედეგებზე და მის მნიშვნელობაზე. პირველ რიგში, არაბთა ინტერესების მთავარ საგანზე – საარაბო გადასახადებზე, ჯიზიაზე და ხარაჯაზე. განვიხილავთ ხელშეკრულების შემდეგ შემოსულ არაბულ მონეტებს და სასანიდური დრაქმების გავლენას მათზე. საუბარი იქნება არაბულ-სასანიდურ მონეტაზე და ომაიანთა დირჰემზე. ნაშრომში შევეხებით თბილისის ეკონომიკურად გაძლიერების საკითხს და მის როლს საერთაშორისო ვაჭრობაში, თუ როგორი მნიშვნელობა ჰქონდა არაბებისთვის ამ ქალაქს. ასევე ვისაუბრებთ ქართლის იმ ტერიტორიებზე, რომელიც ჰაბიბ-იბნ მასლამამ დაიმორჩილა „დაცვის სიგელით“. ქართველი ისტორიკოსები კი ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ აზრებს აყალიბებდნენ. მოხსენებაში საუბარი იქნება ალ-ლუჯუმიზე (სავარაუდოდ ლოჭინი) და მასთან დაკავშირებულ მოვლენებზე. გაიმართა თუ არა ამ ტერიტორიაზე პირველი სამხედრო

დაპირისპირება არაბებსა და ქართველებს შორის. შევეხებით ასევე რელიგიურ საკითხს და არაბული თანამდებობების შემოსვლას: შურტას, მუჰთასიბს, მუშრიბს და ა.შ. ვეცდებით ნაშრომში საინტერესოდ გადმოვცეთ ჰაბიბ-იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ მნიშვნელობა ქართლში.

ნოდარ იაშვილი
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი

ოპიზის მონასტერი (კულტურული მნიშვნელობა და ძეგლის თანამედროვე მდგომარეობა)

ოპიზის წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ საკულტო ცენტრს წარმოადგენს, რომლის ფორმირება შუა საუკუნეების ადრეულ ეტაპზე დაიწყო. წერილობით წყაროებსა და არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით, საწყის ეტაპზე ოპიზა ბაზილიკური ტიპისა იყო, შემდგომში კი დააშენეს გუმბათიც.

მონასტრის დაარსების თარიღთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, V საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლის ბრძანებით „ძუძუმტემა მისმა არტავაზ“, არტანუჯის ერისთავმა „აღაშენა ციხე არტანუჯისა, და მონასტერი, რომელი არს ოპიზასა“. სხვა ვერსიას გვთავაზობს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში არსებული ცნობა მონასტრის წინამძღვრის შესახებ. კერძოდ, გრიგოლ ხანძთელის მისვლის ჟამს მონასტრის რიგით მესამე წინამძღოლი ამბა გიორგი იყო ანდრიასა და სამოელის შემდეგ. ასე რომ, ოპიზა მიახლოებით VIII საუკუნის შუა ხანებში უნდა იყოს

დაფუძნებული წინამძღოლ სამოელის მიერ. „ქართლის ცხოვრებაში“ ასევე ვკითხულობთ: „და მოკუდა ძე აშოტისი და, დამარხეს ოპიზას, მისგან მეორედ აღშენებულსა“. თუკი აქ მოხსენიებული პირი გუარამ მამფალია, მაშინ სწორედ მის სახელს უკავშირდება ოპიზის აღდგენა, გაფართოება და მცირე ნაგებობების დამატება IX საუკუნის II ნახევარში.

ოპიზა შემკული იყო ნაქანდაკევი გამოსახულებით, რომელიც მონასტრის სამხრეთ ფასადზე მდებარეობდა. რელიეფი ორი, თითქმის თანაბარი ფილისგან შედგებოდა, ერთზე აშოტ კურაპალატის, ხოლო მეორეზე აღსაყდრებული ქრისტესა და დავით წინასწარმეტყველის გამოსახულებებით. ოპიზა ასევე მწიგნობრობის მნიშვნელოვანი კერა იყო. აქ შეიქმნა მრავალი ხელნაწერი, მათ შორის 913 წლის ცნობილი ოპიზის სახარება და ათანასე ოპიზელის მიერ 1093 წელს გადაწერილი პარაკლიტონი. აღსანიშნავია ასევე XII-XIII საუკუნეებში მოღვაწე ოქრომჭედლების ბეშქენ და ბექა ოპიზარების შემოქმედება, რომელთა სახელსაც უკავშირდება ბერთას და წყაროსთავის ოთხთავების მოჭედილობა.

ოპიზის შესახებ მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ავტორების მონაცემთა მოშველიებით, როგორებიც არიან ანდრეი პავლინოვი, ნიკო მარი, ექვთიმე თაყაიშვილი. მონასტრის ისტორიისა და არქიტექტურის კვლევაში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვით ვახტანგ ჯობაძესა და დავით ხოშტარიას. ოპიზის მონასტერი ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს. 1965 წელს სოფლის გზის გაყვანის დროს ეკლესია ააფეთქეს, რის შედეგადაც მოისპო გუმბათი და ძლიერ დაზიანდა საკურთხევლის ნაწილი. ამჟამად მონასტრის მთავარი ნაგებობისგან მხოლოდ სამხრეთის მკლავი და დასავლეთის მკლავის ჩრდილოეთ კედელია შემორჩენილი. ერთ დროს სახელგანთქმული ოპიზა ახლა ნანგრევებადაა ქცეული.

მარიანა ჯალაღონია
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

ეკლესიის საკითხი აფხაზთა სამეფოში: საეპისკოპოსოების დაარსება და მისი მნიშვნელობა

VIII საუკუნის განმავლობაში თანდათან ძლიერდება აფხაზეთის საერისთავო, რომელიც სარგებლობს ეგრისის დასუსტებით და იერთებს ეგრისის სამეფოში შემავალ ტერიტორიებს, რის შედეგადაც ის აფხაზთა სამთავროდ ყალიბდება. VIII საუკუნის 80-იანი წლებიდან გაერთიანდა საკუთრივ აფხაზეთი და ეგრისი და შეიქმნა ადრეფეოდალური სახელმწიფო აფხაზთა სამეფოს სახით, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა (ნიკოფსიიდან ჭოროხის ხეობამდე, შავი ზღვიდან ლიხის ქედამდე).

ნიშანდობლივია, რომ ახლადშექმნილ სახელმწიფოში დიდი იყო ბიზანტიის პოლიტიკური თუ რელიგიური გავლენა. დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და პოლიტიკურად ბიზანტიის გავლენისაგან გამოსვლის შემდეგ აფხაზთა სამეფოს წინაშე გამოიკვეთა ეგრის-აფხაზეთის საეპისკოპოსოების გაერთიანებისა და საეკლესიო სუვერენიტეტის მოპოვების ტენდენცია. ეგრის-აფხაზეთის ქართული პოლიტიკა აქტიურად აყენებდა ეკლესიურად მცხეთასთან, საერთო-ქართულ ეკლესიასთან გაერთიანების საკითხს. დასავლურქართული სახელმწიფოს მიერ იმპერიისგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას VIII საუკუნის ბოლოს, მალე მოჰყვა (IX ს.) ეგრისისა და აფხაზეთის ეკლესიების გაერთიანება და დასავლეთ საქართველოს ერთიანი საეკლესიო ხელისუფლების ჩამოყალიბება, რომელსაც სათავეში აფხაზთა კათალიკოსი ედგა, ხოლო ის უშუალოდ მცხეთას დაექვემდებარა.

თავდაპირველად, დასავლეთ საქართველოს გაერთიანებული ეკლესია პირველ ხანებში კონსტანტინოპოლზე იყო დამოკიდე-

ბული და ოფიციალურად ბერძნულ ეკლესიას წარმოადგენდა, ხოლო ამ ეკლესიის მეთაური აფხაზთა კათალიკოსი – ბერძნული ეკლესიის წარმომადგენელი იყო. თუმცა ასეთ მდგომარეობის მოთმენას ვერც ეგრის-აფხაზეთის მეფეები, ვერც აფხაზთა ეკლესიის მრევლი და ვერც მცხეთის კათალიკოსი ვერ შეძლებდა. ამ სიტუაციას უფრო ართულებდა ის, რომ აფხაზთა სამეფოში წირვა-ლოცვა ბერძნულად წარმოებდა. მნიშვნელოვანი იყო მრევლის პოზიცია, რომელთაც სურდათ წირვა თავისთვის გასაგებ, ქართულ ენაზე მოესმინა, ნაცვლად უცხო ბერძნულისა. სწორედ ამის გამო, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოხდა აფხაზთა სამეფოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან გამოსვლა და მისი მცხეთის სამწყსოში შესვლა.

ბერძნული ეკლესიის იდეოლოგიურ საყრდენს წარმოადგენდა ძველი საეპისკოპოსო ცენტრები: ფაზისის სამიტროპოლიტო, გუდავის, პეტრას, როდოპოლისის, ცაიშის საეპისკოპოსოები, ბიჭვინთის საარქიეპისკოპოსო და სხვ. ბერძნული კათედრების საპირისპიროდ ეგრის-აფხაზეთის მეფეები აარსებენ ახალ საეპისკოპოსოებს ეგრისის შუაგულში. მაგ. აფხაზთა მეფე გიორგი II-მ (922-957) დააარსა ჭყონდიდის საეპისკოპოსო. ლეონ III-ის (957-967) დროს დააარსდა მოქვის საეპისკოპოსო. მიმდინარეობდა ბერძნული კათედრების გაუქმება-მოშლა, რომელშიც თვით ბაგრატ III-ც (978-1014) მონაწილეობდა, რომელმაც „მოცვალა მუნ გუდაყვს საეპისკოპოსო“ და „აღაშენა საყდარი ბედიისა“.

ამრიგად, აფხაზთა სამეფოში მწვავედ იდგა ეკლესიის საკითხი, რომელშიც აქტიურად ერეოდა ბიზანტიის იმპერიაც; თუმცა, საბოლოოდ, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, დასავლეთ საქართველოში მოისპო ბერძნული ეკლესიის გავლენა და მას დაუპირისპირდა ქართული ეკლესია, ქართული ენითა და ღმრთისმსახურებით, რომელსაც სამომავლოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს გაერთიანების საკითხში.

ნინო ჩინაშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ლიზი კიზირია
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს
ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბახტაძე

გაერთიანების ეპოქა: ბაგრატ III-ის სახელმწიფოებრივი მისია და ისტორიული მემკვიდრეობა

საქართველოს გაერთიანება შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებისა და სამეფოს ისტორიაში გარდამტეხ ეტაპს წარმოადგენს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოს. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესის წინამძღოლი და ერთ-ერთი მთავარი ისტორიული ფიგურა, რომელმაც სწორად გამოიყენა: დინასტიური ლეგიტიმაცია, მართებული სტრატეგია და ტაქტიკა მტრების დასამარცხებლად, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, იყო ბაგრატ III.

ბაგრატ III-ის დინასტიური ლეგიტიმაცია იქცა არა მხოლოდ პირად სტატუსად, არამედ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან პოლიტიკურ ინსტრუმენტად. მეფე ხშირად მიმართავდა მშვიდობიან, დიპლომატიურ გზებს, რათა დაეჯაბნა მტრების წინააღმდეგობა და მარტივად დაემორჩილებინა გათამამებული და ურჩი დიდგვაროვნები კომპრომისის გზით, რათა შეემცირებინა წინააღმდეგობა მათი მხრიდან და კიდევ უფრო მეტად არ დაემძიმებინა ნაწილებად დაშლილი ქვეყნის მდგომარეობა, შედეგად კი მიეღო საზოგადოების მხარდაჭერა მეფის ერთპიროვნული მმართველობის ირგვლივ დაქუცმაცებული საქართველოს შემოერთების იდეისადმი. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, ის წარმატებით იყენებდა სამხედრო ძალასაც, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ადგილობრივ ხელისუფლებას არ სურდა ცენტრალური ძალაუფლების აღიარება. მისი მმართველობისას გაძლიერდა

სამეფო ადმინისტრაცია და გამტკიცდა ეკლესიის ინსტიტუციური როლი, რადგან შუა საუკუნეების საქართველოში ეკლესია მხოლოდ რელიგიური ორგანო არ იყო. ის წარმოადგენდა ძლიერ პოლიტიკურ, კულტურულ და იდეოლოგიურ სისტემას, რომელსაც შეეძლო საზოგადოების აზრების, ფეოდალური ელიტებისა და რეგიონული იდენტობების ფორმირება. ასე რომ, საჭირო იყო მხარდაჭერის მიღება ინსტიტუციისგან, რომელსაც რეალური გავლენა ჰქონდა ქვეყნის ყველა პოლიტიკურ ცენტრზე. საბოლოოდ კი ჩამოყალიბდა სახელმწიფო იდეოლოგია, რომელიც ხაზს უსვამდა ერთიან საქართველოს სულიერ და პოლიტიკურ მთლიანობას. ამრიგად, ბაგრატ III-ის დამსახურებაა, რომ საქართველოში შეიქმნა იმ დროისათვის პირველი პოლიტიკური მოდელი, რომელიც გულისხმობდა ქვეყნის ერთიანობას და რომელმაც ქართულ საზოგადოებას დაუმტკიცა რომ შეუძლებლად აღქმული საქართველოს ერთიანობა რეალურად შესაძლებელი იყო სწორი სტრატეგიითა და ტაქტიკური სვლებით მათი ლიდერის მხრიდან. ბაგრატ III-ის მიერ ჩამოყალიბებული ერთიანი სახელმწიფო გახდა ქართული ეროვნული თვითმყოფადობის ცენტრალური სიმბოლო და მომავალ მეფეებს მისცა საფუძველი „ოქროს ხანის“ აღმავლობისაკენ, ითვლება როგორც დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქების წინაპირობა.

შოთა კენჭოშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიიდან (X საუკუნის II ნახევარი)

X საუკუნე და განსაკუთრებით X საუკუნის მეორე ნახევარი ხასითდება საკმაოდ ცვალებადი ნიშნებით საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობაში. ესაა პერიოდი, როდესაც სრულიად

ქრისტიანულ სამყაროს ებრძვის საერთო მტერი არაბების სახით. ამ ბრძოლაში კი მოკავშირეებად გამოდიან ბიზანტიის იმპერია და ტაო-კლარჯეთის სამეფო, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ ბიზანტიის იმპერიასთან შედარებით ნაკლებად განიცდის არაბთა დაპყრობების სიმძიმეს. ეს კი განაპირობებს ტაო-კლარჯეთის სამეფოს ძალისა და ავტორიტეტის ზრდას რეგიონში. ბიზანტიის იმპერიის დამოკიდებულება, მისი იმპერიალისტური პოლიტიკიდან გამომდინარე, დროის სხვადასხვა მონაკვეთში განსხვავებულია კავკასიის რეგიონში არსებული პოლიტიკური ერთეულებისადმი, ამ შემთხვევაში კი, ტაო-კლარჯეთის სამეფოსთან მიმართებაში. მაშინ როდესაც ბიზანტიის საიმპერატორო კარი ძლიერია იგი მაქსიმალურად ცდილობს საკუთარ მარწუხებში მოაქციოს ტაო-კლარჯეთის მეფეები, მაგრამ როდესაც საიმპერატორო კარი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა წყაროებში ვხედავთ თუ როგორ იცვლება მყისვე საიმპერატორო კარის დამოკიდებულება ტაო-კლარჯეჯის მეფის დავით III კურაპალატისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის საიმპერატორო კარსა და ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს შორის ურთიერთობებზე დროის სხვადასხვა მონაკვეთში საუბრობენ ისეთი ავტორები როგორებიც არიან გიორგი ათონელი, კედრენე, სტეფანოზ ტარონელი. მიუხედავად იმისა, რომ სამივე ავტორი აღწერს ერთი და იმავე ისტორიულ პროცესს, ზოგი რამ მაინც გაუგებარი რჩება და კვლავ ბუნდოვანია. წყაროების არსებობის მიუხედავად, ამგვარ რთულ და გარკვეულწილად ბუნდოვან საკითხს წარმოადგენს ბიზანტიის საიმპერატორო კარსა და ტაო-კლარჯეთის სამეფოს შორის არსებული ურთიერთობები X საუკუნის მეორე ნახევარში. როდესაც ბასილი II-ის მცირეწლოვნობის ჟამს თავი იჩინა აჯანყებამ ბარდა სკლიაროსის თაოსნობით. ამ დროს დავით III კურაპალატმა იმპერატორის მხარე დაიჭირა. თუმცა საინტერესოა და ბუნდოვნებითაა მოცული ის ფაქტი, რომ რამდენიმე წელიწადში დაწყებული ახალი აჯანყების დროს, რომელსაც უკვე ბარდა ფოკა ედგა სათავეში, დავით კურაპალატი არა ბასილი II-ის, არამედ ფოკას მხარეს დადგა. საინტერესოა თუ რა იყო ამ გადაწყვეტილების მიზეზი და რატომ შეიცვალა ბიზანტიის საიმპერატორო კარსა და ტაო-კლარჯეთის სამეფო კარს შორის

ურთიერთობა. დასაფიქრებელია, დავით III-ის ეს გადაწყვეტილება რაიმე სხვა, ბევრად უფრო ადრე მომხდარმა ფაქტებმა და მოვლენებმა განაპირობეს თუ ეს იყო კურაპალატის კარგად გააზრებული და გათვლილი პოლიტიკური ნაბიჯები, რომელიც ემსახურებოდა დაბალანსების პოლიტიკის გატარებასა და რეგიონში ტაო-კლარჯეთის სამეფოს ავტორიტეტის ზრდას. მოხსენებაში აღნიშნული საკითხის გარკვევას ვეცდები.

გიორგი სალთხუციშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ლერი თავაძე

კვირიკე III დიდი და ბაგრატიონთა სამეფო სახლი

975 წლიდან საფუძველი ჩაეყარა ერთიანი საქართველოს სამეფოს ბაგრატ III-ის ხელმძღვანელობით, რომლის ექსპანსიური პოლიტიკა 1010 წლისთვის კახეთის სამეფოს დაპყრობით და ოთხი ქართული სამეფოს გაერთიანებით დაგვირგვინდა. სწორედ ამ პერიოდში აქტიურად იკვეთება კვირიკე III-ისა და ბაგრატიონთა საგვარეულოს გზა. კვირიკე, როგორც კახეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე, ბაგრატის სიკვდილამდე (1014 წ.) საპატიო ტყვეობაში იმყოფებოდა ქუთაისში (ლ. თავაძე).

ბაგრატ III-ის სიკვდილის შემდეგ, მან მოახერხა კახეთი-ჰერეთის დაბრუნება. კალაურის წარწერაში, როგორც მისი გამომცემლები მიიჩნევენ, კვირიკე III მოხსენიებულია როგორც „რანთა და კახთა მეფე“ (გ. გაგოშიძე; ალ. ბოშიშვილი, ლ. თავაძე და სხვ.). თენგიზ პაპუაშვილი მიიჩნევდა, რომ მეფის ტიტულს კვირიკე III-მდეც ატარებდნენ სხვა არევმანელები. მისი ეს მოსაზრება ეყრდნობოდა მიქაელ მემღვიმის მინაწერს. ამ მოსაზრებას ირაკლი ფაღავა უარყოფს და ფიქრობს, რომ ეს ტიტულატურა ავტორის პირადი ინიციატივითაა დამატებული. ირაკლი ფაღავას აზრით,

კვირიკეს ტიტულატურაში „რანთა მეფის“ ტიტული იმიტომ არის პირველ ადგილას, რომ სწორედ იქ გამეფდა პირველად და შემდეგ დაიკავა კახეთი. მისი ეს მოსაზრება წყაროთა ცნობებით არ არის გამყარებული. კვირიკე III-ს ჰქონდა საკმაოდ კარგი ურთიერთობა ბიზანტიასთანაც, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ ბიზანტიის იმპერატორს შეეძლო მისთვის ლეგიტიმაციის მინიჭება. ბიზანტიელები მსგავსად აფხაზთა ან ქართველთა მეფეებისა კახეთის ქორეპისკოპოსსაც მოიხსენიებენ როგორც არხონტი/მთავარი (მაგ.: იხ. კონსტანტინე VII-ის თხზულება).

კვირიკეს ჯვარზე გაკეთებული ბერძნული წარწერა გვამცნობს, რომ მას, ასევე, ჰქონდა მაგისტროსის ტიტული (გ. გაგოშიძე; ლ. თავაძე). კვირიკე III მონაწილეობას იღებს გიორგი პირველის მხარეს ბიზანტიის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში 1020-1022 წლებში. ის ამით უპირისპირდება ბიზანტიას. აფხაზთა და ქართველთა სამეფო სამხედრო ალიანსს აყალიბებს კვირიკესთან განძის ამირას წინააღმდეგ და კოალიციური არმიის მეთაურობას მას ანდობს. ის, ასევე, მონაწილეობს 1038-1039 წწ-ის თბილისის ალყაში. მისი ყველა ამ კავშირის მიზანი საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებაა და არა საერთო ქართული საქმის კეთება.

კვირიკესა და ბაგრატიონთა ურთიერთობის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს მისი ქალიშვილის მეუღლე, დემეტრე, წარმოადგენს. ეს პიროვნება მოხსენიებულია კალაურის წარწერაში. ლერი თავაძის აზრით, ის შესაძლოა იყოს დემეტრე კლარჯი, ძე გურგენისა, რომელსაც სამფლობელო ბაგრატ მესამემ წაართვა. გიორგი გაგოშიძის აზრით, იგი შეიძლება იყოს უფლისწული დემეტრე გიორგი I-ის ძე. თუმცა, დემეტრე გიორგის ძე ამ დროს მცირეწლოვანია (ჯ. სამუშია), შესაბამისად, აღნიშნული ვერსია ნაკლებად სავარაუდოა. მართალია, კვირიკე არ იყო ბაგრატიონთა მოსისხლე მტერი, თუმცა გარკვეულ დონეზე მათ შორის წინააღმდეგობა მაინც არსებობდა. ამ წინაღმდეგობის ერთ-ერთი გამოვლინებაა კვირიკეს მცდელობა, იპოვოს სამეფო ტახტის მემკვიდრე, რათა მეზობლებმა, მათ შორის ბაგრატიონებმა, ვერ შეძლონ კახეთ-ჰერეთის ტახტის ხელში ჩაგდება.

მარი ნეფარიძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

ოშკი – შუა საუკუნეების ქართული კულტურის ძეგლი და მისი ხელნაწერი მემკვიდრეობა

ოშკი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკაში, სოფელ ჩამლიამაჯში. იგი აგებულია 963-976 წლებში, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლების ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა და დავით მაგისტროსის (შემდგომში კურაპალატი და მეფე) ბრძანებითა და შემწეობით.

ოშკი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი და მწიგნობრობის განვითარების უმნიშვნელოვანესი კერა იყო. მონასტერში დაარსებისთანავე ჩამოყალიბდა მძლავრი სკრიპტორიუმი, მისი ფუნქცია იყო ხელნაწერი წიგნების შექმნა, გადაწერა, რედაქტირება, თარგმანი. სკრიპტორიუმში მოღვაწეობდნენ დიდი განათლების ბერ-მონაზვნები, რომელებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ მონასტრულ ცხოვრებაში.

X საუკუნის ოშკში გადაიწერა – „სამოთხე“ (977 წ.), ბიბლია (978 წ.) და იოანე ოქროპირის ცხოვრება (979-980 წწ.), თორნიკე ერისთავის დაკვეთით, ათონის ივერთა მონასტრისთვის ოშკში გადაიწერა ბიბლია, რომელიც დღემდე დაცულია ათონის მთაზე ივერთა მონასტერში. 995 წელს დავით ოშკელმა და არქიპოსმა გადაწერეს ტბეთის სახარება, იოანე ოშკელმა გადაწერა ფსალმუნი (115 ფ), გრიგოლ ოშკელს მიეწერება გრიგოლ ღვთისმეტყველის ორი თხზულების ქართულად თარგმნა, ჩვენთვის ცნობილი ოშკის ბოლო ხელნაწერი ეკუთნის „გლახაკ გაბრიელს“, მან გადაწერა სახარება. 1080 წელს შავ მთაზე, ეზრას მონასტერში, ბოლოჯერ გამოიკვეთა ოშკელი გადამწერი, ეფრემ ოშკელმა ფსალმუნთა თარგმანი გადაწერა. ამის შემდეგ ოშკისა და ოშკელი მოღვაწეების შესახებ ინფორმაცია აღარ მოიპოვება. ძალიან საინტერესოა

ოთხთავის ხელნაწერები და მისი კვლევა, რომელსაც აქვს დიდი გადაწერის და რედაქციის ისტორია. ოშკის მონასტრის სკრიპ-ტორიუმის ესოდენ დიდი მემკვიდრეობა და იქ მოღვაწე პირების მიერ შექმნილი ხელნაწერების მნიშვნელობა, ჩანს, რომ განუზო-მელია ქართული კულტურისთვის.

საუკუნეების განმავლობაში ტაოს მხარე, მათ შორის ოშკი ერთიანი საქართველოს პირობებში მნიშვნელოვან კულტურულ და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. მოგვიანებით, ოშკი სხვა-დასხვა დამპყრობლის ხელში აღმოჩნდებოდა, ხოლმე. თუმცა, პე-რიოდულად, აქ მოღვაწე ბერები ახერხებდნენ განთავისუფლებას და თავისი საქმიანობის გაგრძელებას. მოხსენების მიზანია ოშკის სკრიპტორიუმთან დაკავშირებული ხელნაწერი მემკვიდრეობა; მისი მნიშვნელობის წარმოდგენა ქართული სამონასტრო ცხო-ვრების, კულტურის, განათლებისა, მეცნიერების განვითარებისა და გავრცელების საქმეში..

მარიამ მამისაშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო კურსის III კურსის სტუნდეტი
ხელმძღვანელი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ნათელა ჯაბუა

მანგლისის ტაძრის არქიტექტურული და ისტორიული როლი

მანგლისის საეპისკოპოსო ტაძარი ადრეული შუა საუკუნე-ების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია, რადგან ის IV საუკუნიდან XIX საუკუნემდე არსებულ ქართულ არქიტექტურულ ტენდენციებსა და ხელოვნების ეტა-პებს აერთიანებს. მანგლისი ქართულ გუმბათიან არქიტექტუ-რაში ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშად ითვლება. ძეგლი აერთიანებს ტრადიციულ ხუროთმოძღვრულ ფორმებსა და რამდენიმე სამშე-ნებლო მასალას. ფლობს გამართულ არქიტექტურულ ფორმებს,

ორნამენტულ რეფლიებს, ლიპადარულ წარწერებსა და ფრესკული მხატვრობის ნიმუშებს. ამავდროულად ტაძარი ინახავს ისტორიულ კონტექსტს, რომელიც მოიცავს ისეთ მოვლენებს, როგორიც გახლავთ: საქართველოს მიერ ქრისტიანობის მიღება IV საუკუნის დასაწყისში, საქართველოს საეპისკოპოსოების დაარსება – V საუკუნე, სამთავროებად დაქუცმაცებული ქვეყნის სახელმწიფოდ გაერთიანება – XI საუკუნის დასაწყისი და სხვა. სწორედ ამიტომ არ კარგავს მანგლისის ტაძარი ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს მკვლევართათვის აქტუალობას. ამრიგად მანგლისის საეპისკოპოსო ტაძარი სახიერად ასახავს საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობას IV-XIX საუკუნეების ჩათვლით.

სალომე სამხარაძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

პეტრიწონის მონასტერი – დაარსების მიზეზები, მონასტრის მნიშვნელობა ქართული კულტურის, მეცნიერებისა და განათლების საქმეში

საზღვარგარეთ არსებულ ქართულ კულტურულ კერებს შორის გამორჩეულია პეტრიწონის (ანუ ბაჩკოვოს) სავანე, რომელიც დაარსებულია 1083 წელს ბულგარეთში საუკეთესო სამონასტრო ადგილას. მონასტრის დამაარსებელი და აღმშენებელი იყო ბიზანტიის კეისრის, ალექსი კომნენოსის კარზე დაწინაურებული სარდალი, დიდი დომესტიკოსი, XI საუკუნის სახელმწიფო მოღვაწე, წარმოშობით ტაოელი გრიგოლ ბაკურიანისძე. იგი სხვადასხვა დროს მსახურობდა ბიზანტიის იმპერიაში შემავალ მრავალ ქვეყანაში, ეჭირა მაღალი თანამდებობები და, ბუნებრივია, ახლო ურთიერთობა ჰქონდა საიმპერატორო კართან.

1083 წელს ნორმანებთნ ძლევამოსილი ომის შემდგომ გრიგოლ ბაკურიანისძემ გადაწყვიტა თავისი სიმდიდრე გამოეყენებინა და სამშობლოსგან მოშორებულს სულის ხსნისთვის ეზრუნა. აღსანიშნავია, რომ სხვა ქართული კულტურული კერებისაგან განსხვავებით, პეტრიწონის მონასტერი არ არის დაარსებული ისეთ ადგილას, როგორც მანამდე ხდებოდა ადგილის შერჩევა. რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ქართველები მონასტრებს აარსებდნენ, წმინდა მიწაზე, ქრისტიანობისთვის მნიშვნელოვან ადგილებზე ან მათ სიახლოვეს. გრიგოლ ბაკურიანის ძე, როგორც ბიზანტიის იმპერიის მთავარსარდალი, განაგებდა საკეისროს დასავლეთ ნაწილს, მისი რეზიდენცია მდებარეობდა ადრიანოპოლში. გრიგოლს მრავალი მამული გააჩნდა იმპერიის სხვადასხვა მხარეში, თუმცა, საყურადღებოა, რომ იგი მონასტრის ასაგებად ირჩევს ტერიტორიას, რომელიც მის რეზიდენციასთან ახლოს მდებარეობს. ასეთად არჩეულ იქნა სწორედ ქ. ფილიპოპოლი, თანამედროვე ბულგარეთის ტერიტორიაზე. გრიგოლს ქართველთა მონასტრისთვის შეუწირავს: ფილიპოპოლის თემში მდებარე სოფელი, პეტრიწონი „მისითა ყანებით“, მრავალი სხვა აგარაკი და სოფელი თავისი კომლი გლეხებით, წისქვილები, სათევზაო ტბები, სამი სასტუმრო, ხატები, მარმარისა და პრილონგის საეკლესიო წიგნები, ჯვრები პატიოსანი ნაწილებითურთ, ძვირფასი შესამოსელები და მრავალი სხვა.

თვითონ გრიგოლ ბაკურიანისძის სახელს უკავშირდება ქართველთა მონასტრისთვის შედგენილი ტიპიკონი ანუ წესდება. საყურადღებოა, რომ პეტრიწონის ქართველთა მონასტერი სწორედ იმ დროს ააგეს, როდესაც ბიზანტიის სხვა ქართულ მონასტრებში ბერძნები ქართველებს ძლიერ ავიწროებდნენ სამონასტრო მეურნეობის დაუფლების მიზნით.

პეტრიწონის სავანესთნ არებობდა ასევე ცნობილი სემინარია. აკადემია მაშინ ჩამოყალიბდა, როდესაც პირველ რექტორად დაინიშნა ქართველი ფილოსოფოსი იოანე, რომელსაც შემდგომ პეტრიწი ეწოდა, იოანე პეტრიწი აქ თითქმის ოცი წელი მოღვაწეობდა. პეტრიწონში ასწავლიდნენ: რიტორიკას, გრამატიკას, ხატვას, მუსიკას, ფილოსოფიას, დიალექტიკასა და სხვა.

პეტრიწონის სავანე ეკუთვნოდა უცხოეთში დაარსებულ იმ კულტურულ კერათა რიცხვს, სადაც ქართველების მოღვაწეობა და სამწერლობო შემოქმედება ისტორიული სირთულეების მიუხედავად საუკუნეების განმავლობაში არ შეწყვეტილა. მისი დაარსებიდან 500-600 წლის შემდეგაც კი ითარგმნებოდა წიგნები, რის დადასტურებასაც წარმოადგენს „საკითხავნი დღესასწაულთანი."

პეტრიწონის მონასტერი წარმოადგენდა ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერას საზღვარგარეთ, რომელიც დაარსებულია გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ, მის კუთვნილ მამულებში, იმპერიის პოლიტიკურ, კულტურულ და სამეცნიერო ცენტრებთან ახლოს. სამონასტრო კომპლექსში სემინარიასთან ერთად ასევე არსებობდა ბიბლიოთეკა და მუზეუმი და ეს ყველაფერი ერთად, წარმოადგენდა მნიშვნელოვან კულტურულ და მეცნიერულ საყრდენს საქართველოში, მეცნიერების განვითარებისა და უმაღლესი განათლების აღმოცენებისთვის.

მარი ბაიდარაშვილი-ფარულავა
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ლერი თავაძე

დავით IV აღმაშენებელი და კახეთ-ჰერეთის შემოერთება

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კახეთ-ჰერეთის შემოერთების საკითხს. ქვეყნის დაშლის შემდეგ, კახეთ-ჰერეთის დაკავების პირველი წარმატებული მცდელობა უკავშირდება ბაგრატ III-ს, რომელმაც 1010 წელს აღნიშნული ტერიტორიები დაიკავა, რის შედეგადაც კახეთ-ჰერეთი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში მოექცა. სიტუაცია იცვლება ბაგრატ III-ის მემკვიდრის,

გიორგი I-ის დროს, როდესაც საქართველოს სამეფო დაპირისპირებულია ბიზანტიის იმპერიასთან. მიმდინარე მოვლენების შედეგად, რომელიც განხილულ იქნება მოხსენებაში, კახეთ-ჰერეთში ხელისუფლად გვევლინება კვირიკე III დიდი, რომელიც იწოდება „რანთა და კახთა მეფედ“.

საქართველოში კახეთი საბოლოოდ დავით IV აღმაშენებლის დროს ინტეგრირდა. დავით IV აღმაშენებლის პოლიტიკა კახეთში 1103-1104 წლებში აქტიურდება, კერძოდ, 1103 წელს საქართველოს მეფემ დაიკავა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი – ზედაზნის ციხე-სიმაგრე. ქართული წყაროების მიხედვით, კვირიკე IV-ის (1084-1104) მომხრე ძაგან ზედაზნის ციხის მფლობელმა დავითს წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა მისი გარნიზონი დამარცხდა, ხოლო ძაგანმა შიომღვიმის მონასტრის ტერიტორიაზე აგებულ ციხე-სიმაგრეს შეაფარა თავი. ამ მოვლენიდან ერთ წელში კვირიკე IV მოხუცებულობის ჟამს, 63 წლის ასაკში გარდაიცვალა, მეფის ადგილი დაიკავა მისმა ძმისწულმა, აღსართან II-მ, რომლის მმართველობამაც რამდენიმე თვეს გასტანა. სწორედ მისი მმართველობით სრულდება კახეთ-ჰერეთის სამეფოს ისტორია და კახეთი საქართველოს შემადგენლობაში მყარად შემოდის.

აღნიშნულ მოხსენებაში განხილული გვექნება შემდეგი საკითხები: კახეთ-ჰერეთის სამეფოს შემოერთება ერთიან ქართულ სახელმწიფოში და მისი შემდგომი ინტეგრაცია. 1103-1105 წლების მოვლენებთან დაკავშირებული ისტორიული წყაროები (დავითის ისტორიკოსის თხზულება, დავით აღმაშნებლის სიგელი შიომღვიმისადმი, ვახუშტის ნაშრომი და სხვ.) და ისტორიოგრაფია (ივ. ჯავახიშვილი, შ. მესხია, მ. ლორთქიფანიძე, თ. პაპუაშვილი, რ. მეტრეველი, ნ. ასათიანი, გ. ჯაფარიძე, ა. გოგოლაძე, ს. მარგიშვილი, ჯ. სამუშია, ლ. თავაძე, ალ. წიქორიძე).

თამრიკო ბოლქვაძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
თამთა მარგველაშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს მოწვეული ლექტორი
აკაკი ჩიქობავა

ყივჩაყთა ინტეგრაცია დავით IV აღმაშენებლის საქართველოში

მოხდა თუ არა ყივჩაყების ეთნიკური სინთეზი ქართულ სოციუმში და რა ბედი ეწიათ მათ დავით IV აღმაშენებლის მმართველობის დასრულების შემდეგ ?

საქართველოს ტერიტორიაზე ყივჩაყური მოდგმის ტომების გადმოსახლება დაკავშირებულია დავით IV აღმაშენებლის (1089-1125 წწ) ეპოქასთან. ყივჩაყები წარმოადგენდნენ თურქული წარმოშობის ტომობრივ გაერთიანებას, რომლებიც XI-XIII საუკუნეებში ევრაზიის სტეპებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ. მათი ისტორია მჭიდროდ დაუკავშირდა კავკასიის, განსაკუთრებით კი, საქართველოს პოლიტიკურ პროცესებს. ეს მოვლენა არა მხოლოდ დემოგრაფიული, არამედ სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელია.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩამოსახლებულ ყივჩაყთა რაოდენობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ნაწილი მიიჩნევს, რომ დავით IV აღმაშენებელმა ჩამოასახლა ყივჩაღთა 40 000 ოჯახი, ნაწილი კი ფიქრობს, რომ ეს რაოდენობა გადაჭარბებულია. ამავდროულად, ცნობილია რომ ყივჩაყები გაქრისტიანდნენ და სწორედ, ამის გამო, ვარაუდობენ, რომ მათი ნაწილი მონა-სპაშიც ირიცხებოდა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დავით IV აღმაშენებლის მოღვაწეობის შემდგომ ეპოქაშიც ყივჩაყები აქტიურად იყვნენ ჩართულნი პოლიტიკურ პროცესებში, მათ შორის, სამეფო კარის შეთქმულებებსა თუ სამხედრო სარბიელზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი

ფიგურა, როგორიცაა მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი ყუბასარი. მსგავსი პატივი ყუბასარს გიორგი III-მ მიაგო, ივანე ორბელის მიერ მოწყობილ აჯანყებაში მეფის ერთგულებისათვის (რომელიც მიზნად ისახავდა გიორგი III-ის ტახტიდან ჩამოგდებას), კერძოდ, მდევარს გაქცეული და თბილისში ჩაკეტილი მეფისთვის მხარდაჭერის გამო.

შესაბამისად, დასაშვებია, რომ ყივჩაყთა მონაწილეობამ სამეფო კარის პოლიტიკურ ცხოვრებასა და ქვეყნის სამხედრო სტრუქტურებში გარკვეული გავლენა მაინც მოახდინა, თუმცაღა ამ გავლენის მასშტაბის ზუსტად განსაზღვრა რთულია. დამატებით საკვლევ საკითხად რჩება, მართლაც დატოვა თუ არა უმრავლესობამ ქვეყანა მონღოლთა ბატონობის პერიოდში თუ მოსახლეობის ნაწილმა საქართველოში დარჩენისას ქართველ ეთნოსთან თანდათანობითი ასიმილაცია განიცადა.

ლაშა სულაქველიძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის
ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს
ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბახტაძე

ყუბასარის საკითხის შესახებ

დავით IV აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ ყივჩაყებსა და ქართველებს შორის ურთიერთობები არ წყდება. ამის შესახებ ირიბ თუ პირდაპირ დამადასტურებელ ცნობებს გვაწვდის ქართული და უცხოური ნარატიული წყაროები. ქართლის ცხოვრებაში დაცული არის ცნობები საქართველოში მათი აქტიური სამხედრო საქმიანობის შესახებ. ეს ხალხი განსაკუთრებით ჩანს გიორგი III-ის და თამარ მეფის დროს. აღსანიშნავია, რომ ყივჩაყი ყუბასარი პოლიტიკურად წინაურდება და იღებს ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის მაღალ თანამდებობებს. ამ პირთან დაკავშირებით ჩვენამდე შემორჩენილი წყაროები ბევრს არაფერს იუწყება, თუმცა მათი ინტერპრეტაცია და განხილვა ყოველთვისაა შესაძლებელი.

აღნიშნულ მოხსენებაში განხილულია ამ პირის შესაძლო წარმოშობის საკითხი ჩვენს ხელთ არსებულ ნარატიულ თუ პალეოგრაფიულ წყაროებზე დაყრნობით, კერძოდ ყუბასარის ნაყივჩაყარობის შესახებ.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის ჭრილში მიმოხილულია გარკვეული ასპექტები 1125 წლის შემდეგ ყივჩაყებისა და ქართველების ურთიერთობისა. მიმოხილულია საკითხი ყივჩაყთა „სამსახურისა", ასევე შესაძლო კავშირზე ყუბასარსა და ჰაღარწინს და ამის გარდა პარიჭის სომხურ წყაროებს შორის. ამ პირმა საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გიორგი III-ის სასარგებლოდ დემნას აჯანყებისას, რამაც მისი დაწინაურება და ჩვენთვის მის შესახებ ცნობების შემორჩენა განაპირობა.

თემურ მეზურნიშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

გიორგი III-ის მეფედ კურთხევა და ძელი ცხოვრებისა

ხელმწიფის კარის გარიგებაში დაცულია ცნობა რომ გიორგი III-მ სალამასურის ქსოვილისა და წმინდა ჯვრის გამოყენებით გვირგვინკურთხევის წესი შეცვალა. წმინდა ჯვარი აქამდეც გამოიყენებოდა სამეფო პროცესიებში, რადგანაც მას უნიკალური რელიკვიის სტატუსი გააჩნდა. იგი სწორედ იმ ჯვრის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც მაცხოვრის ვნებისთვის იქნა გამოყენებული გოლგოთას მთაზე. აქედან გამომდინარე, წმინდა რელიკვიას სამეფო კარზე უდიდესი მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ, რაც ჩანს კიდევაც გიორგი მეფის საქციელში რომელზეც ხელმწიფის კარის გარიგების მე-5 მუხლშია აღნიშნული. როგორც დასახელებულ მუხლში წერია, სალამასურის ძვირფასი ქსოვილი, რომელიც სპარსეთში იქმნებოდა და ძვირადაც ფასობდა უშუალოდ უნდა სცმოდა ჯვრის მტვირთველს, რომელიც ძელი ცხოველს ახლად მირონცხებულ მეფეს მოუბრძანებდა.

აღნიშნული წყარო ვფიქრობ გვაძლევს გარკვეული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომელიც ეხება მეფე გიორგის ფრესკებს. საქმე ისაა რომ ბეთანიისა და ვარძიის მონასტრების კედლებზე მოცემულია ფრესკები, რომლებიც გიორგი III-ის გამოსახულებასაც შეიცავენ, თუმცა დაზიანებების გამო დეტალური ვიზუალიზაცია შეუძლებელი ხდება. აღნიშნულ ტაძრებში დაცული ფრესკები უნიკალურია და ამასთანავე საინტერესო, რადგან მეფე გიორგის ხელში უკავია ჯოხი რომლის ბოლომდე აღქმა ჭირს ფრაგმენტული ზედაპირის გამო.

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ჯოხი წარმოადგენს სამეფო სკიპტრას რომელიც მეფის ძალაუფლების სიმბოლოა, თუმცა ბევრი კითხვის ნიშანი მოჰყვება ამგვარ განმარტებას: რატომ არ უკავიათ იგივე სკიპტრა სხვა მეფეებს, მაგალითად თამარს, რომელიც ოქროს ხანის სიმბოლოა? რატომ არის ზომაში ორჯერ დიდი აღნიშნული სკიპტრა და რატომ არის მისი მოცულობა ჰიპერბოლიზებული? ხომ არ არის შესაძლებელი აღნიშნულ ჯოხში ძელი ცხოველის იდეა დავინახოთ, ზუსტად ისეთი გელათის მონასტერში მეფე გიორგი II-სა და ბაგრატ III-ის (იმერთა მეფეები) ფრესკებს რომ ახლავს თან? ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ ჯოხში რაღაც მნიშვნელობა დევს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება გიორგი III-ს და ახსნას მოითხოვს.

ნიკოლოზ ძიმისტარიშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს
ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბახტაძე

1184 **წლის საეკლესიო კრების პოლიტიკური ასპექტები**

XII საუკუნის 70-80-იანი წლების საქართველოში განსაკუთრებით გაიზარდა ეკლესიის გავლენა. ალბათ ეს ყოველივე ქვეყანაში მიმდინარე შიდაპოლიტიკური პროცესებით იყო განპირო-

ბებული. დაახლოებით 1184 წლისათვის მოიწვევენ საეკლესიო კრებას, რომლის წევრებიც კათოლიკოს-პატრიარქ მიქაელ მირიანის ძეს ბრალს სდებენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს „მოვერაგებაში“ და, აქედან გამომდინარე, მას არ დაუშვებენ კრებაზე. ნიშანდობლივია, რომ საეკლესიო კრებას თავმჯდომარეობდა ყოფილი კათოლიკოსი ნიკოლოზ გულაბერის ძე და ქუთათელი ეპისკოპოსი ანტონ საღირის ძე. ასევე, მას ესწრებოდა „ორსავე სამეფოსა ეპისკოპოსნი“. ეს ყოველივე მიუთითებს, რომ საქართველოს პატრიარქთან უთანხმება აქვს არა მხოლოდ მეფის მომხრე საერო ხელისუფლების წარმომადგენლებს, არამედ სასულიერო დასის გარკველ ნაწილსაც. ვფიქრობთ, კრებას რელიგიურზე უფრო პოლიტიკური ხასიათი უნდა ჰქონოდა. ჩვენს მიზანს წარმოადგენს, განვიხილოთ 1184 წლის საეკლესიო კრების პოლიტიკური მოტივები და მისი შედეგები. აღსანიშნავია, რომ მიქაელ მირიანის ძე მეფის შემდეგ ყველაზე გავლენიანი პიროვნებაა, რადგანაც მის ხელშია უმაღლესი საეკლესიო და საერო თანამდებობა. სავარაუდოდ, ის მეფის მოწინააღმდეგეთა დასის წევრია. აქედან გამომდინარე, მისი ზედმეტი აქტიურობა ვერ აიტანა საქართველოს სამეფო კარმა და, სავარაუდოდ, ამიტომ დასდეს ბრალი მას ზემოაღნიშნული თანამდებობის მიტაცებაში. ნიშანდობლივია, რომ კრების წევრები ვერ დაამტკიცებენ კათოლიკოს-პატრიარქის მიერ საეკლესიო წესების დარღვევას. „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთთანის“ ავტორის მიხედვით, დაახლოებით 1185 წლისათვის პირველი ვაზირის თანამდებობა უკავია არა მიქაელ მირიანის ძეს, არამედ ანტონ გნოლისთავისძეს, მაგრამ, ვფიქრობთ, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ბასილი ეზოთმოძღვარის ცნობას, რომლის მიხედვითაც მიქაელმა აღნიშნული თანამდებობა გარდაცვალებამდე შეინარჩუნა.

შუშანიკ მანწკავა
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს
ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბახტაძე

ათაბაგის „ჴელი“ საქართველოში

ათაბაგი თურქული სიტყვაა, რომელიც სიტყვა-სიტყვით მამა-ბატონს ნიშნავს. ეს სახელო საქართველოში სელჩუკთა სახელმწიფოდან შემოვიდა. ათაბაგი სელჩუკთა სულთნის აღმზრდელისა და მეურვის ტიტული იყო. მას სულთნის კარზე უდიდესი გავლენა ჰქონდა. პირველი ათაბაგი წარმოშობით სპარსელი ნიზამ ალ-მულქი იყო, დიდი სელჩუკი სულთნების ალფ-არსლანის (1063-1072) და მალიქ შაჰის (1072-1092) ვაზირი და აღმზრდელი. დროთა განმავლობაში ამ ინსტიტუტმა სახე იცვალა. სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლის შემდგომ ათაბაგი ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებელი სამთავროს მეთაურის წოდება იყო.

ამ სახელოს საქართველოში შემოღებასა და დამკვიდრებასთან დაკავშირებით ერთიანი აზრი არ არსებობს. როგორც ცნობილია, საქართველოში ეს წოდება თამარის მეფობის დროს გაჩნდა. პირველი ათაბაგები ჩვენს ქვეყანაში იყვნენ ივანე ახალციხელი და ივანე მხარგრძელი, თუმცა წყაროები ათაბაგის „ჴელის“ შემოღების შესახებ ბუნდოვან და წინააღმდეგობრივ ცნობებს გვაწვდიან. ჩნდება კითხვები, ვის მიენიჭა პირველად ეს წოდება – ივანე ახალციხელს თუ ივანე მხარგრძელს ან რომელ წელს, რას გულისხმობდა ათაბაგობა ჩვენს ქვეყანაში და როგორ მოხდა მისი ქართულ სამოხელეო აპარატში ჩართვა. სწორედ აღნიშნული საკითხების განხილვა წარმოადგენს ჩვენს ძირითად მიზანს.

მიუხედავად წყაროებში მოცემული ანაქრონიზმისა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველი ათაბაგი იყო ივანე ახალციხელი, რომელსაც ეს სახელო ებოძა ქალაქ კარის აღების შემდეგ. ივანე მხარგრძელმა კი, სავარაუდოდ, 1205-1210 წლებში, ათაბაგობა მიიღო ახალციხელისგან განსხვავებული შინაარსით. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, სამეფო კარის ათაბაგის თანამდებობა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელოსთან დაპირის-

პირებაში ჩამოყალიბდა. მოხსენებაში გამოყენებულია შემდეგი ისტორიული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანემ, ჟამთააღმწერელი. მათ შორის შემდეგი ავტორების ნაშრომები: ი. ანთელავა; მ. ბახტაძე; ნ. ბერძენიშვილი; დ. გვრიტიშვილი; გ. დუნდუა; თ. დუნდუა; ბ. სილაგაძე; ლ. ტუხაშვილი; ნ. შოშიაშვილი; ივ. ჯავახიშვილი; ს. ჯანაშია.

სალომე მამაგეიშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ანასტასია ფერაძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ფილოლოგიის დოქტორი, თსუ-ს მოწვეული ლექტორი
კოტე ლომიძე

საჩუქრების მოტივი: „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და „ტრისტანი და იზოლდა“

შუა საუკუნეების ლიტერატურაში საჩუქრის მოტივი არა მხოლოდ პერსონაჟთა პირად ურთიერთობებს ასახავს, არამედ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სიმბოლურ ელემენტს, რომელიც აკონკრეტებს პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური სისტემების ღირებულებებსა და იერარქიას. ეს მოტივი განსაკუთრებული ინტენსივობით გვხვდება როგორც ქართულ, ისე აღმოსავლურ და დასავლურ ეპიკურ თხზულებებში, რაც კულტურათშორისი დიალოგის ფართო სურათს ქმნის.

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, რომელშიც აღმოსავლური რომანტიკული ეპოსი, შუა საუკუნეების რაინდული ეთიკა და ეროვნული ტრადიცია ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, საჩუქრის აქტი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. ამ მოტივის კულტურათშორისი ფუნქციისა და მნიშვნელობის შესწავლის მიზნით

კვლევა მოიცავს „ვეფხისტყაოსნის“, „ვისრამიანისა“ (აღმოსავლური რომანტიკული ეპოსი) და „ტრისტანისა და იზოლდას“ (დასავლური სარაინდო რომანი) შედარებით ანალიზს.

მოხსენება სტრუქტურულად დაიყოფა ოთხ ძირითად ნაწილად. პირველ რიგში, მოხდება საჩუქრების კლასიფიკაცია – მკაფიოდ იქნება განსაზღვრული მატერიალური (ოქრო, ძვირფასი ნივთები, სამოსი...) და არამატერიალური (დაპირება, სამსახური, რჩევა...) საჩუქრები. მეორე ნაწილი შეეხება მათ ფუნქციურ დატვირთვასა და მნიშვნელობას – ჩუქების აქტი განიხილება როგორც ძალაუფლებისა და იერარქიის მანიშნებელი, როგორც ემოციური დატვირთვის (სიყვარული, ერთგულება, მადლიერება...) გამომხატველი და, რაც მთავარია, როგორც სიუჟეტის განვითარების მექანიზმი. მესამე ნაწილში აქცენტი გაკეთდება სიმბოლურ და კულტურულ ასპექტებზე, კერძოდ, საჩუქრის სიმბოლიზმზე შესასწავლი ტექსტების კულტურულ კონტექსტში (მაგიურ-წარმართული, პოლიტიკური...). დასასრულ, შედარებითი ანალიზი გამოავლენს საჩუქრის მოტივის გამოყენების პარალელებსა და განსხვავებებს სამივე ეპიკურ თხზულებაში.

კვლევის უმთავრესი მიზანია დაადგინოს, თუ რა ფუნქციას ასრულებს ჩუქების აქტი თითოეულ ტექსტში: (პერსონაჟთა შორის კომუნიკაციის საშუალება, სოციალური იერარქიის დამდგენი/დამრღვევი, სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლო ან ტრაგიკული ბედისწერის განმსაზღვრელი).

საჩუქრის მოტივის დეტალური ანალიზის საფუძველზე მოხსენება წარმოაჩენს კულტურათშორისი დიალოგის ფართო პერსპექტივას და ხაზს გაუსვამს ჩუქების აქტის ცენტრალურ მნიშვნელობას შუა საუკუნეების ეპიკურ აზროვნებასა და სიუჟეტის კონსტრუირებაში.

თამთა გვრიტიშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ფილოლოგიის დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი
კოტე ლომიძე

უსიყვარული ქორწინების ფუნქცია და შედეგები „ლეილი და მაჯნუნსა“ და „ვეფხისტყაოსანში“

უსიყვარულო ქორწინება გავრცელებული მოვლენა იყო ძველი და შუა საუკუნეების საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ ტიპის ქორწინებათა უმეტესობა გარიგებით ხასიათს ატარებდა, რა დროსაც შეზღუდული იყო პარტნიორის სურვილები და არჩევანი, საფუძველს კი წარმოადგენდა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები.

უსიყვარულო ქორწინების თემა ისტორიულად იმდენად აქტუალური იყო, რომ მან ასახვა პოვა XII-XIII საუკუნის ლიტერატურაში. ამგვარი ნაწარმოების ნიმუშია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. პოემაში ნათლად არის გამოკვეთილი უსიყვარულო ქორწინების პრობლემა და მკითხველს შეუძლია დაინახოს ის საფუძველი, რომლიდანაც ამოიზრდება ტარიელისა და ნესტანის თავს დამტყდარი უბედურება, კერძოდ, ესაა პოლიტიკური ქორწინების მოტივი (ფარსადანის მიერ ნესტანის სურვილის წინააღმდეგ სასიძოს შერჩევა). აღნიშნული საკითხი აისახა სპარსულ პოეზიაშიც. უსიყვარულო ქორწინებასა და მის შედეგებს საუკეთესოდ წარმოაჩენს ნიზამი განჯელის „ლეილი და მაჯნუნი“.

მოხსენების ძირითად მიზანს წარმოადგენს ხსენებულ ნაწარმოებთა საფუძველზე იმის გაანალიზება, თუ რას ნიშნავს უსიყვარულო ქორწინება „ვეფხისტყაოსნისა“ და „ლეილი და მაჯნუნის“ მაგალითზე, რის საფუძველზე უარიყოფა პერსონაჟთა თავისუფალი არჩევანი და რატომ ენიჭებათ უპირატესობა ქალ პერსონაჟთათვის არასასურველ კანდიდატებს. ნაშრომი გამოკვეთს ქორწინების ინსტიტუტის როლს ტრადიციულ საზოგადოებაში და დაადგენს, რა ძირითადი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მოტივებით არის გამოწვეული სიყვარულს მო-

კლებული შეუღლება და რა მიზნებს ისახავს მსგავსი გარიგებითი კავშირები. გარდა ამისა, განხილული იქნება, თუ რა შედეგის მომტანი შეიძლება იყოს უსიყვარულო ქორწინება შეუღლებულებისა და მათთან დაახლოებული პირებისთვის. წარმოდგენილი იქნება, როგორ ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს მსგავსი სახის ქორწინება ინდივიდზე და რა არასასურველ შედეგებამდე, თუნდაც გადაწყვეტილებებამდე, შეიძლება მიიყვანოს პარტნიორები უსიყვარულობამ ან ქორწინების იძულებამ.

ამგვარად, კვლევის ძირითადი ამოცანაა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებითა და რუსთველისა და ნიზამის კლასიკურ ნაწარმოებებზე დაყრდნობით იმ საკითხთა კომპლექსური გაანალიზება, რომლებიც, მიუხედავად მათი ნორმალიზებისა შუა საუკუნეების საზოგადოებებში, პიროვნულ ბედს მნიშვნელოვნად ცვლიდა.

ლიკა ვერულიძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს
პროფესორი ქეთევან ხუციშვილი

ლაზური საქორწინო ტრადიციები

ქორწინების ინსტიტუტმა და მასთან დაკავშირებულმა წეს-ჩვეულებებმა ისტორიულად განვითარების გრძელი გზა განვლო. ქორწინება, როგორც ქალსა და მამაკაცს შორის საზოგადოებრივი ყოფიერებით განპირობებული ურთიერთობა, საზოგადოების ცვლილებებთან ერთად უწყვეტად გარდაიქმნებოდა და ვითარდებოდა. ქართულ სამეცნიერო წრეებში ლაზეთის ეთნოგრაფიის კვლევის მხრივ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაშრომები შეიქმნა, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლაზები და, განსაკუთრებით, მათი ტრადიციები თანამედროვე ქართული საზოგადოების დიდი ნაწილისთვის დღემდე უცნობია. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ ისტორიული ლაზეთის უდიდესი ნაწილი დღეს

თურქეთის შემადგენლობაშია. ნაშრომში აღწერილია ლაზების საქორწილო წეს-ჩვეულებები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმ ტრადიციებზე, რომლებიც წინარე ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენების კვალს ატარებს. გამოყოფილია ქრისტიანობასთან დაკავშირებული და ისლამური რელიგიის გავლენით გავრცელებული ტრადიციები.

თემაზე მუშაობის პროცესში დავამუშავეთ ზურაბ თანდილავას, მუჰამედ ვანილიშის, ნუგზარ მგელაძის და სხვა ავტორთა ლაზურ საქორწილო წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული ნაშრომები. გამოვიყენეთ იოსებ ყიფშიძის, არნოლდ ჩიქობავას, სერგი ჟღენტის, ნოდარ კაკაბაძის და სხვათა მიერ ჩაწერილი ლაზური ტექსტები, საიდანაც ამოვკრიბეთ ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები. თემაში გამოყენებული გვაქვს თანამედროვე საქართველოს შემადგენლობაში დარჩენილ ლაზურ სოფელ სარფში ჩვენს მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალაც.

მამუკა ცერცვაძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ფილოლოგიის დოქტორი, თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკის და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის მოწვეული ლექტორი ანა ქირია

საქართველოსა და რომის ეკლესიის დიპლომატიური ურთიერთობა რუსუდან მეფის ლათინურენოვანი წერილის მიხედვით

რომის ეკლესიასა და საქართველოს შორის საეკლესიო და დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავების პერიოდად XII-XIII საუკუნეები უნდა განვსაზღვროთ, რადგანაც სწორედ ჯვაროსანთა ლაშქრობებმა განაპირობა რომის პაპებსა და ქართველ მეფე-მთავრებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების განმტკიცება. იმავე ეპოქას უკავშირდება ძალზე დაძაბული ურთი-

ერთობა დასავლეთის ლათინური წესისა და აღმოსავლეთის ბერძნული წესის ეკლესიებს შორის, რაც მოტივირებული იყო 1054 წლის ე.წ. „დიდი სქიზმითა“ და 1204 წელს კონსტანტინეპოლში ლათინთა იმპერიის დაარსებით. საკუთრივ 1054 წლის სქიზმა მიიჩნევა გარდამტეხ ისტორიულ ფაქტად, რამაც არა მხოლოდ რომისა და აღმოსავლეთის ეკლესიების ევქარისტიული კავშირის რღვევა დააჩქარა, არამედ მნიშვნელოვნად დააზიანა მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობა და საგანმანათლებლო კავშირები.

რუსუდან მეფის მიერ პაპ ჰონორიუს III-სადმი გაგზავნილი ლათინურენოვანი წერილი, რომელიც ერთობ დაცლილია ტენდენციურობისა და პაპისადმი ანტიპათიური განწყობისაგან, რომის პაპს აწვდის მნიშვნელოვან დიპლომატიურ ცნობებს საქართველოში მონღოლთა გამოჩენის, მეფე ლაშა-გიორგის დაღუპვისა და ქართველთა ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის სურვილის შესახებ. ნახსენები წერილი რომის ეკლესიისა და საქართველოს სახელმწიფოს შორის XIII საუკუნეში არსებული დიპლომატიური კავშირების კვლევისათვის თავისთავადი ღირებულებისაა. მკვლევართა პოზიცია საქართველოსა და რომის ეკლესიათა განყოფის ეპოქის განსასაზღვრად შეჯერებული არაა, რაც გამოწვეულია ქართულ წყაროებში განსახილველი საკითხის შესახებ ცნობების სიმწირით, თუმცა XII-XIII საუკუნეების ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და სიგელ-გურჯებზე დაყრდნობით, ნაკლებ სავარაუდოა, რომ საქართველოსა და რომის ეკლესიებს შორის ევქარისტიული კავშირი რომისა და ბერძნულ ეკლესიათა თანადროულად გამწყდარიყო, ამითვე აიხსნება ის პოზიტიური დიპლომატიური ტონი, რომელიც რომის მღვდელმთავრისადმი არის გამოხატული განსახილველ დოკუმენტში.

ამრიგად, მოხსენების მიზანია წარმოვაჩინოთ პაპ ჰონორიუსისადმი რუსუდანის მიერ მიწერილ ლათინურენოვან წერილზე დაყრდნობით, მასში გადმოცემული მიმართვის ფორმებისა და ცნობების ანალიზით, ის დიპლომატიური ურთიერთობა, რომელიც XIII საუკუნეში ჩამოყალიბდა და განმტკიცდა რომის საყდარსა და საქართველოს შორის, მიუხედავად პოსტსქიზმატური პერიოდისა, რომელმაც, თავის მხრივ, ერთობ დააზიანა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა.

სანდრო გზირიშვილი
თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის
სამართლის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ქრისტი თოიძე
თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის
სამართლის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული
ლექტორი ირაკლი ლეონიძე

სავაზირო, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლება (ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით)

ხელმწიფის კარის გარიგება კონსტიტუციური მნიშვნელობის ძეგლია, რომელშიც მოცემულია სახელმწიფოებრივი წესწყობილება. აღსანიშნავია, რომ მოცემული ძეგლი აწესრიგებს პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილებას, მეფის სტატუსს, ორგანოთა, კერძოდ, სავაზიროსა და დარბაზის შემადგენლობასა და მათ კომპეტენციებს, მოხელეთა უფლებამოსილებებს, წეს-ჩვეულებებსა და პროცედურულ საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ ხელმწიფის კარის გარიგებაში წარმოდგენილია ფეოდალური მონარქია, რომლის სათავეში დგას მეფე. ძეგლი აბსოლუტური მონარქიის იდეის მატარებელია და მეფის ხელისუფლებას სამართლებრივად შეუზღუდავად მიიჩნევს, თუმცა არსებობდა დარბაზი, ორგანო ფეოდალთა შემადგენლობით, რომელიც თამარ მეფის მეფობის დროს განსაკუთრებით ზღუდავდა მის ხელისუფლებას. მასში შედიოდნენ ვაზირები, ერისთავები, ეპისკოპოსები, ე.წ. „უხელონიც“. ასევე ძეგლში გაწერილია მისი მოწვევის წესი.

გარდა დარბაზისა, მოცემულია ასევე ორგანო, სავაზირო. აღნიშნული ორგანო მთავრობის მსგავსი მუდმივ მოქმედი დაწესებულება იყო. ხელმწიფის კარის გარიგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მას აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებები ჰქონდა. აღნიშნული ორგანო უზრუნველყოფდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებასა და დარბაზის მხრიდან სრულად შეზღუდვის პრევენციას. მასში შედიოდნენ ვა-

ზირები და მათი თანაშემწეები: 1. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, 2. ათაბაგი, 3. ამირსპასალარი, 4. მანდატურთუხუცესი, 5. მეჭურჭლეთუხუცესი, 6. მსახურთუხუცესი. ვეზირები იყვნენ ორ ჯგუფად დაყოფილი. პირველი ჯგუფი ათაბაგი, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი, ხოლო მეორე ჯგუფი მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი.

პირველი ადგილი უჭირავს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს. იგი პირველი კაცი იყო მეფის შემდეგ და მის თანაშემწედ ითვლებოდა. დღევანდელი გაგებით შეგვიძლია მისი გაიგივება პრემიერ მინისტრთან. მას, როგორც საეკლესიო მოხელეს, ყველა მონასტერი და ეკლესია ემორჩილებოდა. ხელმწიფის კარის გარიგებაში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შემდეგ მოხსენიებულია ათაბაგი, რომელიც თანასწორი იყო ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის. იგი ამირსპასალარის სახელოსთან შეთავსებით იყო. ამირსპასალარი სამხედრო დარგის ხელმძღვანელია სახელმწიფო მმართველობაში: „ლაშქრობაი და ლაშქრობის ვეზირობა ამირსპასალარის არის“. შემდეგი მოხელე არის მანდატურთუხუცესი, რომელიც მეფის მცველების უფროსია. მეჭურჭლეთუხუცესი, მეჭურჭლეთა უფროსია. საჭურჭლე სახელმწიფო ხაზინას ერქვა, ანუ იგი ფინანსთა მინისტრს წარმოადგენს. მსახურთუხუცესი წარმოადგენს მსახურთა უფროსს. ძეგლის მიხედვით იგი მეფესთან ყველაზე დაახლოებული პირია.

გიორგი წიგნაძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
სანდრო ზუხბაია
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

გიორგი V ბრწყინვალის დიპლომატია და მონღოლები

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებული იქნება გიორგი V ბრწყინვალის დიპლომატიურ საქმიანობასა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, რამაც სათავე დაუდო ჩვენი ქვეყნის გაერთიანებას XIV საუკუნის 30-70-იან წლებში. ამ მხრივ, გიორგი მეფის მოღვაწეობა ნამდვილად დასაფასებელია, თუ როგორ მოახერხა შექმნილი ვითარების სასიკეთოდ გამოყენება.

გიორგი V ბრწყინვალე (1314-1346 წწ) მეფე, რომელმაც ბრწყინვალე ეპოქა შეგვიქმნა ქართველებს. გიორგი მცირის გარდაცვალების შემდეგ, 1318 წელს მეფე გახდა გიორგი V.

გიორგი V-ის დროს საქართველომ აღიდგინა უწინდელი სიძლიერე. მეფემ, სავსებით მართებულად, საქართველოს აღდგენის განსახორციელებლად აჯანყების დაწყება სახიფათოდ მიიჩნია. „ისარგებლა ურდოში მოპოვებული პირადი გავლენით და მონღოლებისავე მხარდაჭერით შეუდგა საქმეს.“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი 3).

სწორედ ასეთ ისტორიულ ვითარებაში გამოიჩინა გიორგი ბრწყინვალემ დიპლომატიური ნიჭი, რომელიც სამხედრო ძალაზე მეტად პოლიტიკურ გონიერებასა და მოთმინებაზე იყო დაფუძნებული. მისი დიპლომატიის მთავარი მიზანი იყო მონღოლთა ბატონობის დასრულება, საქართველოს გაერთიანება და ქვეყნის დაცემული საერთაშორისო სტატუსის აღდგენა. გიორგი მეფემ ურთულეს პერიოდში მოახერხა მონღოლთა მაღალი წრის წარმომადგენლებთან საერთო ენის გამონახვა, რის შემდეგაც საქართველო გაძლიერება-გამთლიანების გზას დაადგა.

მარიამ ბარბაქაძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
სალომე გიორგაძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – თსუ-ს დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი ნინო კაკალაშვილი

გიორგი V ბრწყინვალეს ძეგლისდება – სამართლებრივი სასჯელები და მათი აღსრულების მექანიზმები

საქართველო ერთ-ერთი უძველესი და შესაბამისად უდიდესი ისტორიის მქონე ქვეყანაა, რომელიც მუდამ განიცდიდა ცვალებადობას საზოგადოებრივი წყობილების მიმართულებით, რაც შესაბამისად იწვევდა ქვეყანაში არსებული წესების, წყობის, პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური მიმართულებით არსებული სამართლებრივი წესების, მათი აღსრულების მექანიზმების ცვლილებას. ეს ყოველივე კი ასახულია სხვადასხვა ეპოქის კანონთა კრებულებში – სამართლის ძეგლებში, რომელთა გამოკვლევით, ერთმანეთთან შედარებით შეგვიძლია მრავალი ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის გაგება და ეპოქათა შორის სამართლებრივი მიმართულებით მოგზაურობა.

სწორედ ასეთ უმნიშვნელოვანეს სამართლის ძეგლს წარმოადგენს გაერთიანებული საქართველოს მეფის გიორგი V-ის დროს შედგენილი „ძეგლის დადება“. იგი XIV საუკუნის ფრიად საყურადღებო იურიდიული დოკუმენტია. სამართლის წიგნი შედგენილია სპეციალურად აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთათვის. მას შემდეგ, რაც მეფემ მოახერხა საქართველოს კვლავ გაერთიანება, აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეთის საქმეების მოსაგვარებლადაც დაიწყო გარკვეული ცვლილებების განხორციელება. ამის მიზეზს კი მთიულეთში გაბატონებული სრული ანარქია წარმოადგენდა: მოშლილია მართვა-გამგეობა, ხელისუფლება უმოქმედოა, გახშირებულია მკვლელობათა შემთხვევები, ქურ-

დობა, ყაჩაღობა, ციხის „დაქცევა“, სალაშქრო საქმეზე უარის თქმა, ცოლის მიტოვება, სხვისი ცოლის მოტაცება, თვითნებური შურისძიება და მრავალი სხვა. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი კანონთა არქონა იყო, შესაბამისად ამ მიმართულებით გარკვეულ ცვლილებათა განხორციელება აუცილებელ საქმეს წარმოადგენდა.

ძეგლი შედგება პრეამბულისა და 46 მუხლისგან, იგი ძირითადად სისხლის სამართლის მუხლებს მოიცავს და მხოლოდ 5 მუხლი ეხება სამოქალაქო და საოჯახო სამართალს. აღნიშნულ დოკუმენტში სასჯელის ფორმები ჩამოყალიბებული იყო სოციალური იერარქიის, დანაშაულის სიმძიმისა და სახელმწიფოს ინტერესების ბალანსზე დაყრდნობით. ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის დანაშაულები, მათი შესაბამისი სასჯელები, ძირითად სასჯელთა კატეგორიად კი მოიაზრებოდა; 1) ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებული სანქციები, რომელთა მიზანიც ზიანის ანაზღაურება და სოციალური წესრიგის აღდგენა იყო, 2) თავისუფლების შემზღუდავი სასჯელები, რომლებიც მძიმე საზოგადოებრივი საფრთხის მქონე დანაშაულებზე გამოიყენებოდა, 3) სიმბოლური სანქციები, რომლებიც ემსახურებოდა სამართლებრივი საქმეების დისციპლინირებასა და საჯარო მაგალითის შექმნას სხვებისათვის.

კონფერენციის თემიდან გამომდინარე ჩვენს მთავარ მიზანს სწორედ ძეგლისდებაში არსებული სამართლებრივი სასჯელები და მათი აღსრულების მექანიზმების შესახებ ვრცელი და მრავალფეროვანი ინფორმაციის მოძიებაა, სადაც დაწვრილებით იქნება განხილული მოცემული საკითხი.

ნელი არახამია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის I კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი ლია ახალაძე

ხევისბერის ინსტიტუტი ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში არსებული ტრადიციული საზოგადოებრივი მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა – ხევისბერი. თემა აქტუალურია, რადგან ქართულ სამართლის ძეგლში, როგორიც არის „ძეგლისდება“, და ადგილობრივ ადათ-წესებში, განხილულია მნიშვნელოვანი ცნობები ხევისბერის უფლებამოსილებისა და ფუნქციების შესახებ. კვლევის მიზანია ამ ძეგლებზე დაყრდნობით ხევისბერის ინსტიტუტის სამართლებრივი ანალიზი, კვლევისას განვიხილოთ ხევისბერის ფუნქციები და მოვალეობები როგორც სოციალურ, ისე სამართლებრივ ჭრილში, გავეცნოთ ქართული სამართლის ძეგლებს და იქ არსებულ ინფორმაციებს.

ხევისბერი განიხილებოდა არა მხოლოდ როგორც რელიგიური ლიდერი, არამედ როგორც მთის საზოგადოების სამართლის აღმსრულებელი. მისი ავტორიტეტი ეფუძნებოდა როგორც ადათს, ასევე საზოგადოებრივ ნორმებს და მას ჰქონდა განსაზღვრული სამართლებრივი ფუნქციები ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით.

კვლევა დაფუძნებულია პირველადი სამართლებრივი და ეთნოგრაფიული წყაროების ანალიზზე. გამოყენებული მეთოდებია:

- ქართული სამართლის ძეგლის „ძეგლისდების“ შესწავლა და ანალიზი
- ეთნოგრაფიული შედარებითი ანალიზი
- ხევისბერის ინსტიტუტის შედარება სხვა მთიანი რეგიონების (კახეთი, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი) ტრადიციულ თვითმმართველობის ფორმებთან

- სინთეზის მეთოდი: სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინ-ფორმაციის შეჯამება და დასკვნების ჩამოყალიბება

ქართული სამართლის ძეგლებმა აჩვენა, რომ ხევისბერს ჰქონდა საჯარო უფლებამოსილებები და იყო როგორც ოფიციალური სამართლებრივი ძალა. ხევისბერის ავტორიტეტი ეფუძნებოდა არა ძალაუფლებას, არამედ ადათობრივ სამართალს, რაც მას ხდიდა უნიკალურ თვითმმართველობის ინსტიტუტად მთიანეთში. ხევისბერის ინსტიტუტი ასახავს ქართულ სამართლებრივ კულ-ტურაში ტრადიციული სამართლის მნიშვნელობას და მის როლს სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებაში.

რატი კანაშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს
ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი

ჭავჭავაძეთა გვარის ისტორიისათვის

საქართველოს ისტორიაში ჭავჭავაძეთა გვარის წარმომა-დგენლები ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. მათ სა-პატიო ადგილი უკავიათ ქართულ წარჩინებულ გვარებს შორის.

ამ გვარის წარმომავლობის შესახებ საყურადღებო ცნობე-ბია შემონახული ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1756) თხზულე-ბაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და იოანე ბაგრატიონის (1768-1830) თხზულებაში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“.

გეორგიევსკის ტრაქტატს (1783 წ.) დართულ ქართველ წა-რჩინებულთა სიაში ჭავჭავაძენი კახეთის 24 სათავადო გვარს შორის მეათე ადგილას იხსენიებიან. ჭავჭავაძეთა საგვარეულოს შესახებ არსებობს საყურადღებო გამოკვლევები, რომელთა შო-რისაც გამოირჩევა იური ჩიქოვანის მიერ შედგენილი გენეალოგი-ური ნუსხები და ნიკო ჯავახიშვილის ისტორიულ-გენეალოგიური

გამოკვლევა. ამავე საკითხზე არსებობს: გურამ შარაძის, იოსებ ბიჭიკაშვილისა და როლანდ თოფჩიშვილის ნაშრომები.

საგვარეულო გადმოცემით, ჭავჭავაძეთა წარმომავლობა დაკავშირებულია კახეთის მთიანეთთან – ერწო-თიანეთთან. აქვე უნდა ითქვას, რომ ჭავჭავაძეები ყმა-მამულს ფლობდნენ როგორც ერწოში, ანუ თანამედროვე თიანეთის რაიონში, ასევე კახეთის სხვა ნაწილებშიც, კერძოდ, თელავის, ყვარლისა და ახმეტის რაიონებში.

თავად ჭავჭავაძეთა გვარი ორ შტოდ იყოფოდა. მათი საერთო წინაპარი იყო როშნია ჭავჭავაძე, რომელიც საისტორიო წყაროებში 1470 წელს იხსენიება. ჭავჭავაძეთა ერთი შტოს რეზიდენცია მდებარეობდა ყვარელში, ხოლო მეორისა – წინანდალში. წინანდლის შტოს საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა თელავის დასავლეთით მდებარე შუამთის მონასტერი („ახალი შუამთა“). ქართულ საისტორიო წყაროებში ჭავჭავაძეები XV საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან იხსენიებიან. ჭავჭავაძეებს ეპყრათ: სახლთუხუცესის, მოლარეთუხუცესის, მეჯინიბეთუხუცესის, სუფრაჯისა და სხვა თანამდებობები. ჭავჭავაძეები მეფისა და სამშობლოს მიმართ განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდნენ. ამის თაობაზე ინფორმაცია დაცულია როგორც საისტორიო წყაროებში, ასევე ფოლკლორსა და ლიტერატურაშიც.

ქეთი შოშიაშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ლერი თავაძე

ალექსანდრე I დიდის მემკვიდრეები: კახეთის სამეფოს ჩამოყალიბება XV საუკუნის II ნახევარში

XV საუკუნის II ნახევარში კახეთის სამეფოს ჩამოყალიბება უნდა განვიხილოთ, როგორც ხანგრძლივი პროცესი, რომელსაც საფუძვლად დაედო როგორც ალექსანდრე I დიდის მეფობის მი-

წურულს წარმოქნილი დინასტიური წინააღმდეგობები, ასევე ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკური პროცესების გამწვავება.

თანამმართველთა ინსტიტუტი – შექმნილი სახელმწიფოებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფის სურვილით – საბოლოოდ დაპირისპირების წყაროდ იქცა. ალექსანდრე დიდის ვაჟები – ვახტანგ IV, დიმეტრე და გიორგი VIII – განსხვავებულ პოლიტიკურ ძალებთან აფუძნებდნენ კავშირს, რამაც გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის შინაპოლიტიკური ბალანსი სერიოზულად შეცვალა.

ალექსანდრე დიდის მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში სამეფო კარზე იყო მეტად არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ის გარემოება, რომ ალექსანდრე რატომღაც იძულებული იყო თავისი ვაჟიშვილი ვახტანგი მეფედ მოეხსენიებინა, ამჟღავნებს იმ გარემოებას, რომ მეფის ოჯახში რაღაც ისეთი განხეთქილება მომხდარა, რამაც აიძულა, რომ ასე არაჩვეულებრივად მოქცეულიყო და თავისი სიცოცხლის დროსაც თავისი ვაჟიშვილი მეფედ მოეხსენიებინა.“ ვითარება ალექსანდრე დიდის მემკვიდრეების დროსაც მეტად არასახარბიელო იყო. მათი მმართველობის პერიოდში მომხდარი საქართველოს სამეფოდ დაშლა განიხილა დავით ნინიძემ. მის ნაშრომებში ჩანს, რომ XIV-XV სს-ში საქართველოს რეგიონებში (ქართლი, კახეთი, სამცხე, იმერეთი და სხვ.) „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი გაძლიერდა, რაც გახდა კიდეც საქართველოს დაშლის ერთ-ერთი რეალური მიზეზი. ბაგრატიონთა დინასტიის განშტოებათა წევრები ცალკე დომენს ქმნიდნენ რეგიონებში და მეფეებად იწოდებოდნენ, სადაც ცენტრალური ხელისუფლების გავლენა ყოველთვის ძლიერი არ ყოფილა.

ამ ყველაფრის ფონზე, ასევე გარეშე ძალების წინააღმდეგობით, ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებითა და შიდა კონფლიქტების გამო, ალექსანდრე დიდის მემკვიდრეებმა ვერ შესძლეს ერთობის შენაჩუნება. კახეთი ერთიან საქართველოს გამოეყო და ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბდა უკვე გიორგი VIII დროს. თუმცა, კახეთის სამეფოს ოფიციალურად ჩამოყალიბების თარიღად მიჩნეულია 1490 წელი.

ელდარ მამისთვალისშვილის მიხედვით, XV საუკუნეში ქართველ-მეფე მთავრებს აქტიური საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები ჰქონდათ, მათ შორის როგორც აზიისა, ასევე ევროპის ქვეყნებთან. ამ აქტიურ ურთიერთობებს ანტიოსმალური კოალიციის შეკვრის სურვილი განაპირობებდა, რომელსაც ამავე საუკუნის შუა წლებში კონსტანტინოპოლი ჰქონდა დაკავებული. დასავლეთით ოსმალეთის, ხოლო აღმოსავლეთით თურქმანული აყ-ყოიუნლუს (თეთრბატკნიანთა) სახელმწიფოების ექსპანსია ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა, რის გამოც კახეთი ერთიან სამეფოს ჩამოშორდა. 1476 წლის მერე, მაშინ როდესაც აყ-ყოიუნლუს ფადიშაჰი უზუნ ჰასანი საქართველოში ლაშქრობს, კახეთში ალექსანდრე I გიორგის ძე მმართველობს. სწორედ მის დროს კახეთი სტაბილურად ცალკე არსებულ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა. ამის მიუხედავად, ალექსანდრე I კახთა მეფე და მისი მემკვიდრეები ძველი ტრადიციის მიხედვით, შვიდი სამეფოსა და სრულიად საქართველოს მეფეებად იწოდებიან, რითაც კვლავინდებურად პრეტენზიას აცხადებენ ერთიანი ქართული ქვეყნის მმართველობაზე.

ანა ლავრელაშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

ბიზანტიის იმპერიის დაცემა და მისი გავლენა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე

შუა საუკუნეების მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან პოლიტიკურ ძალად აღმოსავლეთ რომის, იგივე ბიზანტიის იმპერია შეგვიძლია მივიჩნიოთ. იგი დიდწილად განსაზღვრავდა შედარებით მცირე თუ დიდი სახელმწიფოების მომავალს, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ისე სოციალურ-კულტურული თვალსაზრისით. ამ

მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა, რომელიც ბიზანტიის უშუალო მეზობელი და, ასევე, ქრისტიანული სახელმწიფო იყო და, ცხადია, მათ შორის არსებობდა მტკიცე კავშირები, რომლებშიც მატრიმონიალური (ქორწინებითი) სახის ურთიერთობებიც აღსანიშნავია. ე.წ. „მეორე რომის იმპერია“ წარმოადგენდა საზღვარს საქართველოსა და ევროპას შორის. თავის მხრივ, საქართველო ბიზანტიისთვის აზიასთან დამაკავშირებელ ერთ-ერთ გზად ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლეთიდან მომავალი მტერი ხშირად აერთიანებდა ამ ორ ქრისტიანულ სახელმწიფოს, განსაკუთრებით, არაბებთან და თურქ-სელჩუკებთან დაპირისპირების ეპიზოდებში.

1453 წლის 29 მაისს დაეცა დედაქალაქი კონსტანტინოპოლი და მასთან ერთად მთელი ბიზანტიის იმპერია. მეჰმედ II-ის მეთაურობით უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც აქამდე ბიზანტიას ეკუთვნოდა, სრულად აღმოჩნდა ოსმალთა მმართველობის ქვეშ და საქართველოს მართლმადიდებელი ქრისტიანი მეზობელი ისლამურმა ოსმალეთმა ჩაანაცვლა. ბიზანტიის იმპერიის დაცემამ მოშალა ის ეკონომიკური საყრდენი, რომელსაც საქართველოსთვის შავ ზღვაზე უსაფრთხო ვაჭრობა წარმოადგენდა, ასევე, ოსმალებმა ჩაუკეტეს საქართველოს დასავლეთთან მიმავალი მოკლე და უძველესი გზები, რამაც ქვეყანაში მოშალა საქალაქო ცხოვრება. გარდა ამისა, შექმნილმა საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლას. მოხსენების მიზანია განვიხილო ბიზანტიის დაცემითა და ოსმალთა იმპერიის აღზევებით გამოწვეული ის არსებითი და გადამწყვეტი ცვლილებები, რომლებიც XV საუკუნის ერთიანმა ფეოდალურმა საქართველომ განიცადა.

რატი ახლოური
საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი თამარ ქორიძე

მეფე ლუარსაბ II კათალიკოს-პატრიარქების ბესარიონ ორბელიშვილისა და ანტონ I ბაგრატიონის ჰაგიოგრაფიული თხზულებების მიხედვით

XVII ს-ის პირველი მესამედი ერთ-ერთი მძიმე პერიოდია საქართველოს ისტორიაში. ეს არის შიდა ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდი, როდესაც თურქ-ოსმალთა და ყიზილბაშთა ირანის სახელმწიფოები სამხრეთ კავკასიაში გაბატონებისათვის ერთმანეთთან სისხლისმღვრელ ომებს აწარმოებენ. საქართველო მძიმე პოლიტიკურ რეალობაში აღმოჩნდა. ქართველი მეფეები იძულებული იყვნენ შეესრულებინათ შაჰის მოთხოვნები და მონაწილეობა მიეღოთ ირანის მიერ წარმოებულ საგარეო ომებში. შაჰთან დაპირისპირებით იწყება მეფე ლუარსაბ II-ის მოწამეობრივი ცხოვრება, რომელიც სამშობლოსა და რწმენის ერთგულების სიმბოლოდ იქცა.

მოხსენება ეხება ლუარსაბ II-ის წამების საკითხს სხვადასხვა ქართული წყაროს მიხედვით. მიზანია სხვადასხვა ცნობების შეჯერება, შედარება. ანალიზი ეფუძნება წყაროთმცოდნეობრივ და რელიგიურ-ისტორიულ კვლევით მეთოდებს. მიღებული დასკვნები ხელს უწყობს საკითხის ღრმა გააზრებას ქართული ისტორიოგრაფიის კონტექსტში.

ლუარსაბ II-ის ცხოვრებისა და მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ ცნობები დაცულია რამდენიმე ქართულ ნარატიულ საისტორიო წყაროში. ესენია – ფარსადან გორგიჯანიძის (XVII სს), ბერი ეგნატაშვილისა (XVIII სს) და ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII სს) თხზულებები. ასევე, არსებობს საგანგებოდ მეფე ლუარსაბისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებები, ესენია – კათალიკოს ბესარიონ ორბელიშვილის (1724-1737 წწ) და ანტონ I კათალიკოსის (1744-1756 წწ; 1763-1788 წწ) თხზულებები. ლუ-

არსაბ II-ის შესახებ არა ერთი სხვადასხვა ინტერპრეტირებული ტექსტიც გვხვდება, მათ შორის აღსანიშნავია გობრონ საბინინის თხზულება „საქართველოს სამოთხე“, რომელშიც სხვა წმინდანებთან ერთად აღწერილი არის მეფე ლუარსაბის ცხოვრება და მოწამეობრივი აღსასრული.

გამოყენებული სხვადასხვა ნარატიული წყაროს ურთიერთშედარება, საშუალებას გვაძლევს, ლუარსაბ II-ის ტრაგედია უკეთ დავინახოთ და გავაანალიზოთ, რათა აღვადგინოთ სრული ისტორიული სურათი. წმინდა მეფისა და მისი ეპოქის შესახებ ამ თხზულებებში დაცული არა ერთი საყურადღებო და განსხვავებული ინფორმაცია მნიშვნელოვანია, იმ მეტად მძიმე საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციის, შევსებისა და შეფასების თვალსაზრისით.

მარიამ მელაშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნირებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

ვახტანგ VI-ის სამართალი და მისი მნიშვნელობა შუა საუკუნეების საქართველოსთვის

ქართველმა ხალხმა, თავისი მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების განმავლობაში, შეძლო შეექმნა განვითარებული სამართლებრივი სისტემა, რომელშიც ზუსტი ისტორიული ქრონოლოგიით ასახულია ქართველთა ყოფა, სახელმწიფოს სოციალური და პოლიტიკური წყობა და ეროვნულობა. საქართველოს ისტორიისა და ქართული წყაროების შესწავლა ცხადჰყოფს რომ, ქართველმა ხალხმა შექმნა ისეთი სამართლის სისტემა, რომელიც მაშინდელი ძლიერი ქვეყნების სჯულმდებლობას არ ჩამოუვარდებოდა და ჰუმანურობით ბევრ მათგანს უსწრებდა.

ივანე ჯავახიშვილი XVIII საუკუნეზე ამბობდა: „სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა“, ამ ხანის ერთ-ერთი დიდებული შე-

მოქმედი კი ქართლის მეფე ვახტანგ VI (1675-1737 წწ) იყო. იგი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე განათლებული მეფეა. XVIII საუკუნეში საქართველოს სჭირდებოდა ძლიერი სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა წესრიგსა და ერთიანობას. ამ საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული 1705-1708 წლებში. იგი სჯულმდებლობის უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ძეგლია არა მარტო ქართული სამართლის ისტორიის, არამედ სამართლის ზოგადი ისტორიის მეცნიერების თვალსაზრისითაც. კრებული შეიცავს საქრისტიანო მსოფლიოში მოქმედ სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს, როგორებიცაა: მოსეს სჯული, სირიულ-რომაული, ბიზანტიური და სომხური კანონები. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კრებულის ის ნაწილი, რომელიც ქართული სამართლის ორიგინალურ ძეგლებზე მოგვითხრობს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი, ასევე გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადება“ და კათალიკოსთა სამართალი. ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი მაინც თავად ვახტანგის სამართლის წიგნია, რომელშიც მოცემულია XVII-XVIII სს ქართლის სამეფოს მდგომარეობა. ვახტანგის სამართლის წიგნი ქართული კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი განძია.

მოხსენებაში შევეცდები, გადმოვცე, როგორი პოლიტიკური ვითარება უძღვოდა წინ ძეგლის შედგენას, როგორი იყო მისი შედგენის ისტორია, კონკრეტულად, რა საჭიროებებმა წარმოშვა მისი შედგენის აუცილებლობა. ასევე ვისაუბრებ, დამნაშავის დასჯის იმ მეთოდებზე, რომელიც დამახასიათებელი იყო XVIII საუკუნისთვის და ზოგადად ფეოდალური ხანის საქართველოსთვის და რა განასხვავებს მას შუა საუკუნეების ევროპისა და რუსეთისაგან. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ვახტანგის სამართლის კრებულის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა და მასში შემავალი უცხოური თუ ქართული სამართლის ძეგლები. აგრეთვე აღსანიშნავია, კრებულის გამოყენების დრო და მასშტაბი. არსებობს მოსაზრებები, რომლის მიხედვითაც, ვახტანგის სამართლის წიგნი, რომელიც ქართლის სამეფოსთვის იყო შედგენილი, სულ მალე მთელს საქართველოში გავრცელდა და „საქართველოს სამართლად“ იქცა. ასევე, ვახტანგის სამართლის წიგნი შემდგომი საუკუნეების საკანონმდებლო ძეგლების მნიშვნელოვან წყაროს

წარმოადგენდა და XIX საუკუნეშიც ხელმძღვანელობდნენ კრებულით. მაგალითად, 1802 წლის 22 დეკემბრის ერთ-ერთ განჩინებაში გამოყენებულია აღბუღას სამართლის 159 მუხლი, რაც ადასტურებს იმას, რომ მე-XIX საუკუნის დამდეგსაც მოქმედ სამართლის ძეგლს წარმოადგენდა.

დიმიტრი ღონღაძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს
ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი

ერეკლე II-ისა და ქეთევან ყაფლანიშვილის მეუღლეობის საკითხის გარკვევისათვის

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში არაერთი გამოწვევის მიუხედავად კახეთის სამეფო კარმა თეიმურაზ II-ის ხელმძღვანელობით შეინარჩუნა ტრადიციული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირებისათვის საჭირო მინიმალური სტაბილურობა. სამეფო კარის პოლიტიკა მიზნად ისახავდა როგორც დინასტიური თანმიმდევრობის, ისე კულტურულ-რელიგიური წეს-ჩვეულებების უწყვეტობის უზრუნველყოფას, რაც ფეოდალური სახელმწიფოების არსებობის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენდა. მეფის დაოჯახების საკითხი ფეოდალურ საქართველოში მკაცრად დარეგულირებული სამართალ-ეთიკური ნორმებით იმართებოდა. მეფეს ან უფლისწულს დამოუკიდებლად არ შეეძლო მომავალი მეუღლის არჩევა, ვინაიდან დინასტიური ქორწინება აღიქმებოდა არა მხოლოდ პირად, არამედ სახელმწიფოებრივ აქტად, რომლის შედეგებსაც ფართო პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. სამეფო ეტიკეტი დეტალურად განსაზღვრავდა ქორწინების პროცესს, ხოლო მიღწეული შეთანხმება მოიცავდა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ზოგჯერ სამხედრო ვალდებულებებსაც. სწორედ ამიტომ ქორწინების წესი მხოლოდ რიტუალურ მნიშვნელობას არ ატარებდა.

ფართოდ არის ცნობილი ფაქტი, რომ ერეკლე II-ს სამი ოფიციალური მეუღლე ჰყავდა, თუმცა შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი მისი ცხოვრების ეპიზოდი, რომელიც უკავშირდება ქეთევან ყაფლანიშვილ-ორბელიანის ფიგურას. წყაროების მიხედვით, ქეთევანი უნდა გამხდარიყო ერეკლე II-ის პირველი მეუღლე, თუმცა ქორწინება საბოლოოდ არ შედგა. მიუხედავად იმისა, რომ დინასტიური კავშირი არ განხორციელებულა, მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს ქეთევანის დაკრძალვის გარემოებები და მისი საფლავის წარწერა, სადაც იგი ერეკლეს თანამეცხედრედ არის მოხსენიებული. შედეგად საკითხის შესწავლისას ვხვდებით ურთიერთგამომრიცხავ ფაქტებს, რაც მეტ ინტერესს აღძრავს.

მოცემული საკითხის გასაანალიზებლად საჭიროა, როგორც ტექსტური წყაროების კრიტიკული ანალიზი, ისე ეპიგრაფიკული მასალის შესწავლა. ამ კვლევაში განიხილება როგორც ერეკლე II-ის პირადი და დინასტიური პოლიტიკის კონტექსტი, ისე ქეთევან ყაფლანიშვილ-ორბელიანის წარმომავლობა, მისი საგვარეულოს გავლენა და სამეფო კართან არსებული კავშირები. აღნიშნული ანალიზი საშუალებას იძლევა, საკითხი მრავალმხრივი პოლიტიკურ-სოციალური თვალსაზრისით იქნას შეფასებული და დადგინდეს, რა როლი შეიძლება ჰქონოდა ამ განუხორციელებელ ქორწინებას ფართო დინასტიურ კავშირებში.

სესილი სამხარაძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

ქართველთა ერთიანი ეროვნული თვითშეგნება გაერთიანებული საქართველოს დაშლის შემდეგ (სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის მაგალითზე)

XV საუკუნის 90-იან წლებში ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის პროცესმა დასრულებული სახე მიიღო. ჩამოყა-

ლიბდა ცალკეული სამეფო-სამთავროები, რომელთა დაქუცმაცება მომდევნო საუკუნეებშიც გაგრძელდა. ყოველი მეფე-მთავარი საკუთარი სამფლობელოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა, რაც, ხშირად, სხვა სამეფო-სამთავროებთან ბრძოლასაც გულისხმობდა.

მიუხედავად ამისა, მეფეები თუ მთავრები აცნობიერებდნენ ეროვნული ერთიანობის მნიშვნელობას, საერთო ქართულ წარმოშობას, საერთო ენას, რელიგიას, ისტორიასა და სხვა (გარდა პოლიტიკური ერთიანობისა). ამ ყველაფრის გამოხატულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ მათი დამოკიდებულება კულტურული კერებისადმი, რომელთა მიმართაც დიდ ყურადღებას იჩენდნენ ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს მეფეები. ქართული კულტურის აღმავლობაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებულ ქართულ კერებს, რომელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ახლო აღმოსავლეთის რეგიონს და, კერძოდ, სინას მთას უჭირავს. არაპირდაპირი ცნობებით, სინას მთაზე ქართველების გამოჩენა VI საუკუნით თარიღდება. XVII საუკუნიდან სინას მთაზე ქართველები თითქმის აღარ ჩანან.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიურ შემთხვევას ვხვდებით საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული სხვა ქართული კულტურული კერების მიმართაც, მაგალითად, ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შემდგომ ხანაში ათონის მთის ივერონის ქართული მონასტრის სიძველეებისადმი აქტიური მხარდაჭერით გამოირჩეოდნენ მეფე-მთავრები: ყვარყვარე და მზეჭაბუკ ათაბაგები; ლევან II დადიანი; იმერეთის მეფე სოლომონ I; ქართლის მეფე გიორგი XI, მარიამ დედოფალი; თეიმურაზ II, ერეკლე II; კახეთის მეფე თეიმურაზ I. ამდენად, ცხადია, რომ ქართული კულტურა ინახავდა იმ საერთო-ქართულ ღირებულებებს, რომელიც განაპირობებდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

ასეთივე დიდი მნიშვნელობის იყო სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერი, რომლისადმი შეწირულობებითაც გამოირჩეოდნენ გაერთიანებული საქართველოს დიდი მეფეები: დავით IV აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი V ბრწყინვალე, ალექსანდრე I დიდი. ერთიანი სამეფოს დაშლის შემდგომ პერიოდში ამ მხრივ აღსანიშნავია მეფე-მთავრები: ქართლის მეფეები: სიმონ I, ვა-

ხტანგ V, ვახტანგ VI; გიორგი XI; კახეთის მეფეები: ალექსანდრე II, ლევან II; ერეკლე II, გიორგი XII; იმერეთის მეფეები: ბაგრატ III, გიორგი II, სოლომონ I; გურიის მთვრები: სვიმონ I, სვიმონ III, გიორგი II, გიორგი III, გიორგი IV; ოდიშის მთავარი კაცია II დადიანი; ასევე, ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენლები: ფანასკერტელ-ციციშვილები, ზედგინიძეები. სწორედ აქ ჩანს მათი დამოკიდებულება ეროვნული ცნობიერების შეგნების საკითხში. თითოეული მათგანისათვის ქართული კერები წარმოადგენდა იმ მემკვიდრეობას, რომელიც მოდიოდა საერთო წარსულიდან, ამ მემკვიდრეობის დაცვა კი გულისხმობდა მათ აღიარებას, რომ, მიუხედავად პოლიტიკური დაშლილობისა, ერთნი იყვნენ, ერთნაირად ზრუნავდნენ ქართულ სიძველეებზე და შესაწირს აგზავნიდნენ, როგორც ქართველები და არა მათი პოლიტიკური ერთეულის მიხედვით. ისინი ყველანი ერთი ეროვნებისანი იყვნენ.

ამდენად, მიუხედავად პოლიტიკური დაქუცმაცებულობისა, ეროვნული ერთიანობის აღქმა საბოლოოდ არ გამქრალა, რაც ჩანს მეფე-მთავართა ზრუნვაში ქართული მემკვიდრეობისადმი. ნათელია, ისინი თავს ქართველებად თვლიდნენ. სწორედ საერთო წარსულმა, კულტურამ, ისტორიამ არ მისცა ქართველ ერს უფლება, რომ მიუხედავად მრავალი გასაჭირისა, დაეკარგა ერთიანობის განცდა.

ლუკა ნებიერიძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

სამხედრო კვების დრო შუა საუკუნეების ქართულ ფეოდალურ ლაშქარში (XI-XVIII სს)

შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური ლაშქრის სამხედრო საკითხები მრავალი მკვლევრის მიერ კარგად არის შესწავლილი

ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა გარკვეული ასპექტები დღემდე არ ყოფილა ისტორიკოსების ყურადღების ცენტრში, მაგალითად, სამხედრო კვების დრო. აღნიშნული მოხსენება ამ დანაკლისის შევსების ერთგვარი მცდელობა იქნება.

ზოგადად, როგორც ანტიკური, ასევე შუა საუკუნეებისა და ახალი პერიოდის არმიათა ლოგისტიკაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებოდა კვების დროს, რომელიც, უმეტესწილად სპეციფიკური დროით იყო განსაზღვრული. რომაული წყაროების მიხედვით, ლეგიონერები დღის განმავლობაში ორჯერ იკვებებოდნენ: საუზმისას და „საღამოს დაფიონამდე". ამასთანავე, მიზანშეუწონელი იყო ბრძოლაში „ცარიელი კუჭით" მონაწილეობის მიღება, რის გამოც რომაელი ჯარისკაცი საკვების გარკვეულ რაოდენობას აუცილებლად სამხედრო შეტაკების დაწყებამდე გარკვეული პერიოდით ადრე იღებდა.

იოსებ ფლავიუსი საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ რომაულ ჯარში საკვების მიღების დრო დამოკიდებული იყო არა რომელიმე ლეგიონერის პირად სურვილზე, არამედ ჯარის მეთაურის ბრძანებაზე. ონასანდერი გამოყოფს ბრძოლის დაწყების ორ შესაძლო შემთხვევას: 1) როდესაც ბრძოლას რომაელები იწყებენ 2) როდესაც თავად მოწინააღმდეგე ესხმის თავს რომაულ არმიას. ონასანდერის მიხედვით, ორივე შემთხვევაში რომაელმა სარდალმა არ უნდა დაუშვას, რომ მოწინააღმდეგესთან ბრძოლისას ლეგიონერები მშიერები იყვნენ. მაგალითად, ტიტუს ლივიუსი აქებს რომაელ სარდალს კლაუდიუს მარკელუსს იმის გამო, რომ კანუსიუმის ბრძოლის წინ (ძვ. წ 209 წწ) მან რომაელ ჯარისკაცებს კონკრეტული ბრძანება მისცა, რათა შეტაკების დაწყებამდე მათ საუზმე მიეღოთ.

რა ვითარება იყო ამ კუთხით შუასაკუნეების ქართულ ფეოდალურ ლაშქარში, ამის დადგენაში როგორც ქართული, ასევე უცხოური ისტორიული წყაროები გვეხმარება. მათი შეჯერების შედეგად, შესაძლოა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ამ პერიოდის ქართველი მეომრები ანტიკური პერიოდის არმიათა მიბაძვით იკვებებოდნენ, როგორც ბრძოლის წინ, ასევე, მისი დასრულების შემდეგ. მაგალითად, XIII საუკუნის ლათინი ავტორის, ვინცენც დე ბოვეს ცნობით, ქართველები სამხედრო შეტაკების

წინ, ცხენზე ამხედრების შემდეგ, ღვინით სავსე პატარა მათარას სვამდნენ, ხოლო იმავე პერიოდის მეორე ლათინი ავტორის, ოლივერუსის გადმოცემით კი ღვინით სავსე მათარას. საინტერესოა, რომ ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, განძასთან გამართული მძიმე ბრძოლის შემდეგ ბანაკში დაბრუნებულმა ლაშა-გიორგიმ და მისმა თანმხლებმა ქართველმა მეომრებმა კარავში ცოტა მოისვენეს და „საჭმელი მოითხოვეს". მრავალმხრივ საინტერესო ცნობები მოიპოვება არქანჯელო ლამბერტის, დონ კრისტოფორო დე კასტელის, პაპუნა ორბელიანისა და სხვა გვიანი პერიოდის წყაროებში, რომლებშიც არსებული ცნობების შეჯერება საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

მოხსენების მიზანია შეძლებისდაგვარად დავადგინოთ შუასაკუნეების ქართული ფეოდალური ლაშქრის სამხედრო კვების დროსთან დაკავშირებული დეტალები და შედარებითი ანალიზის დახმარებით რომაული, ბიზანტიური და შუა საუკუნეების ევროპული წყაროების განხილვის ფონზე, ფრთხილი ვარაუდის დონეზე გამოვთქვათ მოსაზრებები.

მარიამ ხორბალაძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

XV-XVII საუკუნეების მესხეთიდან საქართველოს სხვა მხარეებში მოსახლეობის გადასახლების საკითხი (მიზეზები, შედეგები)

საქართველოსთვის XV საუკუნე განსაკუთრებით რთული პერიოდი აღმოჩნდა. კონსტანტინოპოლის დაცემამ ქართველებს დასავლეთთან საურთიერთობო გზები ჩაუკეტა. ამასთან ერთად, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ჩნდება ახალი ძლიერი პოლიტიკური ერთეული, ოსმალთა იმპერიის სახით, რომლის ინტე-

რესებში შედიოდა დასავლეთ საქართველოზე სრული კონტროლის დამყარება. ამ მიზნის განსახორციელებლად, პირველ რიგში, მას სჭირდებოდა მესხეთის ხელში ჩაგდება, რომელიც ოსმალეთს გზას გაუხსნიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შესაღწევად.

ოსმალების აქტიურმა პოლიტიკამ მესხები მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. სამცხის ათაბაგი იმპერიის ვასალი გახდა და ხარკი იკისრა. განსაკუთრებით გართულდა ვითარება სულთან სელიმ I-ის მმართველობის დროს. იმპერიამ ადგილობრივი გადასახადები ოსმალური გადასახადებით დაამძიმა და დაიწყო მიწის მფლობელობის ოსმალური წესის დამკვიდრება.

ოსმალური ფაქტორის გარდა მესხეთში რთული ვითარება შეიქმნა იმ შინაარეულობით, რომელიც 1576 წელს დაწყებულ ფეოდალების დაპირისპირებაში გამოიხატებოდა. ერთი მხრივ ჯაყელები და მათი მომხრეები და მეორე მხრივ შალიკაშვილები და მათი მომხრე ოჯახების სისხლისმღვრელი დაპირისპირება. ამ ყველაფერმა თავისი გავლენა იქონია, მოსახლეობაზეც, ომის პირობებში დაეცა ეკონომიკა, ხალხი გაღარიბდა, ბევრ მათგანს მშობლიური მიწის დატოვება მოუწია. მათ შორის დამარცხებულ ფეოდალებს და მათ ყმებს. ოსმალების მიერ 1578 წელს სამცხის დაპყრობის შემდეგ შეიქმნა ახალციხის საფაშო, განვითარებულ დემოგრაფიულ პროცესებზე დიდი გავლენა მოახდინა, ასევე, ისლამის გავრცელებამ, რომელსაც გარეგნულად თითქოს არ ჰქონდა იძულების ფორმა, თუმცა ისეთი დიდი იყო ეკონომიკური და პოლიტიკური იძულება, რომ მესხების მნიშვნელოვანი ნაწილი „თურქდებოდა."

მოსახლეობის მეორე ნაწილი, რომელიც ქრისტიანობის დათმობას არ აპირებდა, ტოვებდა მშობლიურ მხარეს და მეზობელ ქართულ სამეფო-სამთავროებში სახლდებოდა. მესხეთიდან მოსახლეობის განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მიგრაცია შეინიშნება ქართლში. ეს კი, სავარაუდოდ, განპირობებული იყო ქართლის გეოგრაფიული მდებარეობითა და ნაყოფიერი მიწების სიმრავლით. ასევე, მესხეთიდან ხალხი გადასახლებულია იმერეთის სამეფოში, კახეთის სამეფოში.

მესხეთის დიდებულთა შორის, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზით დატოვეს სამცხე იყვნენ: შალიკაშვილები, ავალიშვილები,

მიქელაძეები, თულაძეები, დიასამიძეები, დოლენჯიშვილები და სხვები. მათ გადასახლებისას თან მიჰყავდათ თავისი ყმებიც.

გადასახლების მთავარი მიზეზი ქრისტიანობისა და იდენტობის შენარჩუნება იყო, რომელსაც თან ახლდა რიგი სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები. XVII საუკუნიდან მესხეთში ასეთი არჩევანი იყო, ან რელიგია უნდა დაეთმოთ ან მშობლიური მიწა, ერთ-ერთი აუცილებლად. შედეგად, მესხი ფეოდალებისა და იქაური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დანარჩენ საქართველოში გადავიდა; მცირე ნაწილმა შეძლო შეენარჩუნებინა ქრისტიანობა, ძირითადად, მესხეთის სხვადასხვა მხარეში, სოფლებში მცხოვრებმა სოციალურად დაბალი ფენების წარმომადგენლებმა მოახერხეს; ხოლო მეორე, მესხი ფეოდალების უფრო დიდი ნაწილი ადგილზე დარჩა და ოსმალეთის სამსახურში ჩადგა. სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე შექმნილ ახალციხის საფაშოში, ამის გარდა, თანდათან სხვა ხალხების დასახლებაც (ქურთები, მომთაბარე თურქმანები და სხვ.) მიმდინარეობდა, ქართველი მოსახლეობის რაოდენობას თანდათან ანაცვლებდნენ. ხოლო ქართველი, ვინც დარჩებოდა, ოსმალეთის იმპერიისადმი ლოიალურად განწყობილი უნდა ყოფილიყო.

ლაშა სამხარაძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს
ასოციაციის გამგეობის წევრი, გიორგი ახალკაციშვილი

მანუჩარ II ჯაყელის რელიგიის საკითხის შესწავლისათვის

1578 წლის ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიაში ლაშქრობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და გარდამტეხი მოვლენაა XVI საუკუნის საქართველოს ისტორიაში, რითაც, ფაქტობრივად, დაირღვა 1555 წელს დადებული ამასიის საზავო ხელშეკრულება და ოსმალეთის იმპერიამ კვლავ სცადა დასუსტებული სეფიანთა

ირანის საბოლოოდ განდევნა რეგიონიდან. მუსტაფა ლალას სამხედრო კამპანიის ერთ ერთ უმთავრეს მიზანს, ცხადია, სწორედ ქართული სამეფო-სამთავროების დამორჩილება წარმოადგენდა, რის საპასუხოდაც, სამწუხაროდ, ქართველმა პოლიტიკოსებმა ვერ გამოიჩინეს იმ დროისათვის ძალზედ საჭირო ძალისხმევა საგარეო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით ბრძოლისა და საერთო ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისა.

მუსტაფა ფაშასა და ქართველ საერო მოღვაწეთა დიპლომატიური ურთიერთობების შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლალა მუსტაფას დამოკიდებულება მანუჩარ ჯაყელის მიმართ, რომელიც აღნიშნული ლაშქრობის დროს სამცხეში ხელისუფლებისათვის საკუთარ ძმას, ყვარყვარე ჯაყელს ებრძოდა.

ამგვარი შიდა პოლიტიკური არეულობით, რასაკვირველია, ისარგებლა ლალა ფაშამ და საათაბაგოს დაპყრობასთან მიმართებაში საკუთარი მიზნების უფრო იოლად მისაღწევად სწორედ მანუჩარ ჯაყელის გამოყენება გადაწყვიტა.

ისტორიამ ამ მოვლენამდეც და ამ მოვლენის შემდეგაც ძალიან ბევრჯერ დაგვანახა ჯაყელების მიერ ანტიეროვნული პოლიტიკის წარმართვის არაერთი მცდელობა და მათი მუდმივი მიდრეკილება საგარეო მტრებთან მოკავშირეობისა თუ საკუთარი რელიგიის უარყოფისაკენ ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით. გამონაკლისს, ცხადია, არც მანუჩარ II წარმოადგენდა, ვინაიდან მას თავისი ერთგულების დასამტკიცებლად და ოსმალთა სრული ნდობის მოსაპოვებლად, რასაკვირველია, სხვა ყველაფერთან ერთად, ქრისტიანობის უარყოფა და ისლამის მიღებაც აუცილებლად მოუწევდა, თუმცა მანუჩარ ჯაყელის რელიგიური პოლიტიკა ისტორიკოსებისთვის სწორედ იმით არის საინტერესო, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებულ მრავალ წყაროთაგან, ზოგიერთი ცნობა ადასტურებს მანუჩარის მიერ მაჰმადიანობის აღიარებას, ნაწილი კი – პირიქით.

მოხსენების მიზანია, შეაჯამოს მანუჩარ II ჯაყელის სარწმუნოებრივი გადაწყვეტილების თაობაზე ჩვენს ხელთ არსებული როგორც ქართული, ასევე აღმოსავლური (ოსმალური და სპარსული) წყაროები და მიმოიხილოს ამ საკითხის გარშემო გამოთ-

ქმული მოსაზრებები თანამედროვე მკვლევრებისა და აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა მიერ.

ნიკოლოზ მაისურაძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

სერ ენტონი შერლი სპარსეთში და მისი თვალით დანახული ქართველები შაჰ აბას I-ის კარზე

სეფიანთა ირანის სამეფო კარზე მოღვაწეობდა არაერთი ქართველი, რომლებმაც მოიხვეჭეს სახელი და სახელმწიფოს მაღალ ეშელონებშიც შეძლეს გზის გაკვლევა. ერთი ასეთი იყო ალავერდი ხან უნდილაძე, სპარსეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საპატივცემულო სამხედრო და კულტურული მოღვაწე, რომლის საქმეებიც დღემდე იპყრობს ირანის შესწავლით დაინტერესებულთა ყურადღებას. თუმცა ამ პიროვნებისადმი დაკვირვება არაა მხოლოდ თანამედროვეობის მოვლენაა, არამედ ინტერესი ჯერ კიდევ ალავერდის სიცოცხლეშივე ჰქოდათ ევროპელ მოგზაურებს მის მიმართ, როგორც შაჰ აბასის უახლოესი მოხელის. ერთი ასეთი უცხოელთაგანი იყო ინგლისელი მოგზაური, დიპლომატი, ვაჭარი და სამხედრო პირი სერ ენტონი შერლი. მას თავის მონათხრობში არ გამორჩენია იმ მნიშვნელოვანი პიროვნული მახასიათებლების გადმოცემა, რომლებიც ალავერდი ხანის სტატუსს ისტორიულ პროცესში მნიშვნელოვნად ამაღლებს. უნდა აღინიშნოს გარემოებაც, რომ შერლი ძირითადად სამხედრო-პოლიტიკურ საქმეზეა ორიენტირებული, რის გამოც კულტურულ მოღვაწეობას ნაკლებად გადმოგვცემს. შერლიმ შეძლო ალავერდი ხანთან დაახლოება, თუმცა გზა აქამდე საკმაოდ რთული გამოდგა.

სერ ენტონი შერლის შესახებ პირველი წიგნი გამოიცა 1613 წელს ლონდონში, შემდეგ კი არაერთხელ გადამუშავდა. მოხსენებაში განხილული ფაქტები უშუალოდ ეფუძნება პირვანდელ

რედაქციას. სწორედ ამ წყაროებში გადმოცემული მოვლენები გვაძლევს საშუალებას დავაკვირდეთ, თუ როგორ ვითარდებოდა შერლის წინსვლა შაჰ აბასის გარემოცვისაკენ და როგორ გამოჩნდა ამ პროცესში ალავერდი ხანის უნიკალური როლი. ამ წყაროს ჭრილში გამოიკვეთა ის სირთულეებით სავსე გზა, რომელმაც ინგლისელი მოგზაური საბოლოოდ ირანის სამეფო ხელისუფლამდე მიიყვანა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოხსენებაში გათვალისწინებულია ესპანელი დიპლომატის ანტონიო დე გოვეას ცნობაც, თუ როგორ ემთხვევა შერლის მონათხრობს ალავერდი ხანის სიტყვის მნიშვნელობაზე.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ ცნობებზე, რომლებითაც შეგვიძლია შევაფასოთ ალავერდი ხან უნდილაძის მოღვაწეობის მნიშვნელობა შაჰ აბასისათვის. თუ რაოდენ დიდი სტატუსი ჰქონდა სეფიანთა სამეფო კარზე დაწინაურებული ქართველის სიტყვას და როგორ ინტერესს აღძრავდა ის ქრისტიან მოგზაურებში. საკითხის შესწავლით კი მივდივართ დასკვნამდე, რომ ალავერდი ხანი თავის თანადროულსა თუ გვიანდელ ევროპელებში მხოლოდ დადებითად მოიხსენიება.

გიორგი თედიაშვილი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

ქართული ციხე-სიმაგრეები (სტრუქტურა, არქიტექტურის განვითარების ძირითადი ეტაპები, თავდაცვითი სისტემა)

საქართველოს ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვადასხვა დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლებთან. ქართველები უძველესი დროიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ თავდაცვით ნაგებობებს, რადგან კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული მათი განუზომელი როლი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის.

ქართული ციხე-სიმაგრეების არქიტექტურა წარმოადგენს თავდაცვითი ინჟინერიის მაღალგანვითარებულ სისტემას, რომელიც ისტორიული კონტექსტის, გეოგრაფიული გარემოსა და სამხედრო სტრატეგიების სინთეზს წარმოადგენს. აღნიშნული ნაგებობების შესწავლა ცხადყოფს არქიტექტურული მოდელის უნიკალურ ადაპტაციას და მუდმივ ევულუციას. ქართულ სიმაგრეებს აქვთ უნიკალური ფორმები და სტრატგიული მდებარეობა. ისინი ინტეგრირდებიან ბუნებრივ პირობებთან, რაც მათ მაღალ კლდეებსა და მიუდგომელ ადგილებში აგებით გამოიხატება, აკონტროლებდნენ სავაჭრო გზებს, ხეობებსა და დაბლობებს.

თავდაცვითი ნაგებობები მუდმივად განიცდიან ევულუციას ანტიკური პერიოდის მრგვალი კოშკებიდან შუა საუკუნეების რთულ გალავნიან კომპლექსებამდე. ფეოდალური ურთერთობების განმტკიცებასთან ერთად განსაკუთრებით ადრეულ შუა საუკუნეებში დაიწყო ციხე-სიმაგრეებისა და თავდაცვითი კომპლექსების მასშტაბური მშენებლობა. მათში ინტეგრირდება ახალი სამხედრო იარაღისგან თავდაცვისა და ბრძოლაში გამოყენების მეთოდები, რაც მათი დაგეგმარების ცვლილებას იწვევს. გაიზარდა კოშკების რაოდენობა, განმტკიცდა გალავანი და გაჩნდა სტრატეგიული ჩანაფიქრით დაგეგმილი თავდაცვითი გზები.

IX-XII საუკუნეები საქართველოს გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს შექმნისა და გაძლიერების ხანაა, ამ პერიოდში იქმნება მრავალი თავდაცვითი ციხე-სიმაგრე, რომლებსაც შემდგომი საუკუნეების განმავლობაში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაში დიდი ფუნქცია გააჩნდათ. გაიზარდა გალავნებისა და კოშკების სიმტკიცე, ნაგებობა გახდა მეტად გრანდიოზული, კარიბჭეებსა და ქონგურებს ეტყობა მდიდრული ელემენტები და ჩუქურთმები.

XIII საუკუნიდან მონღოლთა ბატონობამ და შემდგომმა სირთულეებმა საკუთარი კვალი დაამჩნია ციხეებსაც. არქიტექტურა ხდება თავდაცვით ფუნქციაზე ორიენტირებული. იქმნება რთული გეგმარებითი სისტემა.

XVI-XVII საუკუნეებში საქართველო ირანისა და ოსმალეთის გავლენიშ ქვეშ მოექცა, ამან ციხე-სიმაგრეები ფუნქციონალურად უფრო მრავალმხრივი გახადა. მათ უკვე ჰქონდათ საცხოვრე-

ბელი დანიშნულებაც. ნაგებობები ადაპტირდა ცეცხლსასროლ იარაღთან, გალავნებში ჩნდება სათოფურები და ქვემეხებისთვის სპეციალური სივრცეები.

ციხე-სიმაგრეების შიდა დაგეგმრება ასევე მნიშვნელოვანი ელემენტია, კომპლექსის შიგნით ძირითადად მიმდინარეობდა საცხოვრებელი, სამხედრო და სამეურნეო ფუნქციების ერთიანად წარმართვა. ნაგებობის შიგნით აუცილებლად გვხვდება წყლის რეზერვუარები, მოსასვენებელი და საცხოვრებელი ოთახები, პირუტყვისთვის განკუთვნილი სადგომები, იარაღისა და სურსათის საწყობები და საიდუმლო გასასვლელები.

ქართულ ციხე-სიმააგრეებში გამოყენებული სამშენებლო მასალები და მათი დამუშავების ტექნიკა ისტორიულად მრავალფეროვანი იყო, თუმცა ძირითადად მაინც ადგილობრივ რესურსებს ეფუძნებოდა. ადრეულ პერიოდში გამოიყენებოდა ნატეხი ქვა, რომელიც ერთმანეთზე მშრალი წყობით ლაგდებოდა, შუა საუკუნეებში შემაკავშირებელ მასალად უკვე იწყება კირის გამოყენება, ასევე ფართოდ გამოიყენება თლილი ქვა. ეს ყოველივე მთლიანობაში კონსტრუქციის სიმყარეს ზრდიდა. გადახურვებისა და თაღებისთვის გამოიყენებოდა სპეციალურად დამუშავებული ხე, რომელსაც ჭია არ უჩნდებოდა, განსაკუთრებით ფასობდა კავკასიური მუხა.

ქართული ციხეები განვითარების, გეოგრაფიული მდებარეობისა და სამხედრო საჭიროების მიხედვით რამდენიმე ძირითად ეტაპად იყოფოდა. არსებობდა სამთო ციხე-კოშკები, რომელიც შენდებოდა ქართულ მთიანეთში, ბუნებრივ კლდეებზე ან ბორცვებზე აღმართული ციხეები შუა საუკუნეების ქვეყნის თავდაცვის ძირითად მოდელს წარმოადგენდა. მათი მეშვეობით კონტროლდებოდა მდინარის ხეობები, სავაჭრო გზები და დაბლობები. ასევე ცალკე გამოიყოფა საცხოვრებელ ადგილებთან აშენებული ციხეები, რომლებიც ზომით არ გამოირჩეოდნენ, თუმცა მოთარეშე რაზმებისგან მოსახლეობის თავდაცვისთვის იდეალური იყო. არსებობდა სასახლის ტიპის კომპლექსებიც, რომლებიც ძირითადად ფეოდალების რეზიდენციებს წარმოადგენდა და აერთიანებდა როგორც საცხოვრებელ ისე თავდაცვით ნაგებობებს.

გიორგი გოგისვანიძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
თეკლე კაცაძე
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკლავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – თსუ-ს დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი ნინო სალია

კათოლიკე მისიონერების თვალით დანახული დასავლურქართული ეკლესია XVII საუკუნეში

XVI საუკუნეში წმინდა საყდარში რომის პაპმა გასცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც კათოლიკური ეკლესიის მოღვაწეებს ევალებოდათ გაევრცელებინათ წმ. პეტრეს მიერ ნაქადაგები ქრისტიანული რწმენის ფუნდამენტური დოგმატები, რაც კათოლიკურ ეკლესიას დაეხმარებოდა გავლენებისა და ავტორიტეტის მოპოვებაში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. პაპმა დასავლეთ საქართველოში გამოგზავნა „თეატინელთა ორდენის“ წარმომადგენლები: არქანჯელო ლამბერტი, ქრისტეფორო დე კასტელი, ჯუდიჩე მილანელი. მათი მისია არ ყოფილა მხოლოდ რომისა და ქართული ეკლესიების გაერთიანების საკითხი, არამედ მათ სურდათ დიპლომატიური პოლიტიკის გატარება, რაც ხელს შეუწყობდა ოსმალეთის მიერ დამორჩილებული დასავლეთ საქართველოს დაახლოებას ევროპულ ცივილიზაციასთან. აგრეთვე მათი მიზანი გახლდათ როგორც დასავლური კულტურის გავრცელება, ისე ქართული კულტურის შესწავლა და ამ ორი მრავალწახნაგოვანი კულტურის დაახლოება, რაც იმთავითვე აისახებოდა ევროპულ-ქართული თანამეგობრობის ხორცშესხმაზე. მათმა მისიონერულმა საქმიანობამ განსაკუთრებული პოპულარობა ჰპოვა ოდიშის სამთავროში, რადგან ისინი აქ ნერგავდნენ ევროპული ცივილიზაციის ინოვაციურ მიღწევებს: სამეურნეო, საინჟინრო, სამკურნალო სფეროში. იმ დროინდელი ოდიშის მთავარი ლევან დადიანი განსაკუთრებით ახლო ურთიერთობებს ამყარებდა მისიონერებთან, რადგან ამით იგი დაიჭერდა კარგ ურთიერთობას ევროპელ მონარქებთან

და რომის პაპთან. ეს კი მისი პოლიტიკური მიზნებისა თუ ჩანაფიქრების განხორციელებაში დაეხმარებოდა.

განსაკუთრებით ყურადსაღებია მათი თვალით დანახული დასავლურ-ქართული ორთოდოქსული ეკლესია, რაც ნათლად და შთამბეჭდავად იკვეთება თავიანთ წერილობით ჩანაწერებში, რომლებსაც უგზავნიდნენ წმინდა საყდარს. აქვე საინტერესოა იმჟამინდელი მაჰმადიანი ოსმალებისაგან შევიწროვებული ქართული ორთოდოქსული ეკლესიის განვითარება-აღმშენებლობის როლი დასავლეთ საქმეში, საზოგადოების საქართველოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი და შიდა საეკლესიო საქმენი. ამ თემებზე კონკრეტულ და ხელშესახებ პასუხებს კი ვხვდებით კათოლიკე მისიონერების ჩანაწერებში. მოხსენებაში დეტალურად იქნება განხილული მათი შთაბეჭდილებები, მოსაზრებები და შეხედულებები მოცემულ საკითხთან მიმართებით. ასევე საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად გამოვიყენებთ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც ეკუთვნის: გივი ჯამბურიას, მიხეილ სვანიძეს, მიხეილ რეხვიაშვილსა და ა.შ.

ლილი თაკვარელია
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
მარიამ დანელია
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – თსუ-ს დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი ნინო სალია

ფლავიუს არიანეს ხედვა შავი ზღვისპირეთის სარწმუნოებრივ პრაქტიკებზე I-II საუკუნეებში („პერიპლუსის მიხედვით“)

ფლავიუს არიანე ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი იყო. იგი ცნობილია, როგორც სამხედრო, გეოგრაფიული და ისტორიული ნარატივების ავტორი. არიანეს ნარკვევები მნიშვნე-

ლოვან წყაროს წარმოადგენს იმდროინდელი კავკასიის და თანამედროვე საქართველოს ტერიტორიების შესასწავლად. ფლავიუს არიანემ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე იმოგზაურა. როგორც ნაწერებიდან ჩანს, იგი ფაზისში საკმაო ხანს გაჩერებულა. მან აღწერა მდინარე ფაზისის წყლის თვისებები, ნავსადგურში შემოსული ხომალდები, ფაზისში მცხოვრები ადამიანების ცხოვრების წესი და მათი კულტურა. არიანე ეხება დასავლეთ საქართველოში მობინადრე ეთნიკურ ერთეულებს. მის მიხედვით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიზე ცხოვრობდნენ: კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბაზგები, სანიგები და ძილქები. არიანეს დროინდელი დასავლეთ საქართველო რამდენიმე ტომად დასახლებულ მხარედაა წარმოდგენილი, რომელთა უმეტესობას მეფე ჰყავს.

ფლავიუს არიანე დეტალურად აღწერს შავიზღვისპირეთში არსებულ სიტუაციას. აღნიშნული ფაქტები კი მოწმობს, რომ არიანე სიღრმისეულად ათვითცნობიერებს აქ არსებულ წეს-წყობილებებს. ჩვენი ნაშრომის მთავარი მიზანია განვიხილოთ ფლავიუს არიანეს ნაშრომი „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ რელიგიური კუთხით. ქართულ წყაროებში შედარებით ნაკლებად გვხვდება ქრისტიანობამდელი პერიოდის შესახებ ინფორმაციები. ამ ავტორის ნაშრომი კი ჩვენი აზრით, იძლევა საშუალებას, რომ წარმართული ხანის დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ადამიანების რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესახებ გარკვეული სურათი შევქმნათ. ჩვენი მიზანი კვლევისას, არის ის, რომ რომის იმპერატორი ადრიანეს მიერ გამოგზავნილი მოხელის, ფლავიუს არიანეს დეტალური ანგარიში განვიხილოთ რელიგიურ ჭრილში და წარმოვადგინოთ უცხო თვალით დანახული სიტუაცია რელიგიურ სფეროში.

კვლევისას, ასევე მნიშვნელოვანია ჩავრთოთ ფლავიუს არიანეს პერიოდში მოღვაწე სხვა ისტორიკოსებიც, რომლებიც ანალოგიურად ცნობებს გვაწვდიან ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოში არსებულ რელიგიურ სიტუაციაზე. ჩვენ ისტორიულ-კრიტიკული ანალიზის მეთოდს ვიყენებთ იმისთვის, რომ მხოლოდ ერთი ავტორის მიერ გადმოცემული ინფორმაციით არ შემოვიფარგლოთ.

ანა მებონია
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ნინო ჭაბაშვილი
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ფილოსოფიის დოქტორი, თსუ-ს სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის ასოცირებული პროფესორი კახა ქეცბაია

ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შეფასების შესახებ

ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორია ქვეყნის სახელმწიფოებრივი ფორმირების, გაძლიერებისა და პერიოდული დაშლის მრავალსაუკუნოვან პროცესს ასახავს. კავკასიის სტრატეგიულ სივრცეში მდებარეობამ საქართველოს მისცა როგორც განვითარების შესაძლებლობები, ისე მუდმივი გარე საფრთხეები. ეს კი უშუალოდ აისახებოდა მისი პოლიტიკური სტაბილურობისა და ერთიანობის ხარისხზე. სახელმწიფოებრიობის საწყის ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კოლხეთისა და იბერიის სამეფოებს. კოლხეთი დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი პირველი ორგანიზებული სახელმწიფო იყო, რომელიც ბერძნულ სამყაროსთან აქტიურად ურთიერთობდა, ხოლო იბერია აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ძლიერი სამეფოდ, რომელსაც გააჩნდა განვითარებული პოლიტიკური სტრუქტურები და მნიშვნელოვანი როლი რეგიონალურ პოლიტიკაში.

IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ გააერთიანა ქვეყანა კულტურულ-სამართლებრივ საფუძველზე და გაამყარა ცენტრალური ხელისუფლება. VII-IX საუკუნეებში არაბთა ბატონობამ სერიოზულად შეასუსტა სახელმწიფოებრივი მმართველობა, თუმცა ქართულმა სამეფო-სამთავროებმა და ეკლესიამ შეძლეს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. სწორედ ამ ხანგრძლივ წინააღმდეგობას დაეფუძნა XI საუკუნეში ბაგრატიონთა დინასტიის მიერ ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება. დავით აღმაშენებლის სამხედრო, ადმინისტრაციულმა და ეკონომიკურმა რეფორმებმა შექმნა ძლიერი მონარქია და

საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის აღმავლობას. XII-XIII საუკუნეების დასაწყისში, თამარ მეფის მმართველობის პერიოდში, საქართველო იქცა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ რეგიონულ სახელმწიფოდ. გაძლიერდა საერთაშორისო კავშირები, გაფართოვდა საზღვრები და ჩამოყალიბდა კულტურისა და სამართლის ისეთი მოდელი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ეროვნულ საყრდენად იქცა. მონღოლთა ბატონობამ XIII საუკუნეში მძიმე დარტყმა მიაყენა ქვეყანას: მნიშვნელოვნად გაიზარდა გადასახადები, გაძლიერდა ფეოდალური დაქსაქსულობა და შესუსტდა ცენტრალური ხელისუფლება, რაც XIV-XV საუკუნეებში საბოლოო დაშლით დასრულდა – საქართველო სამ სამეფოდ და რამდენიმე სამთავროდ დაიყო. დაშლის მიზეზი იყო, როგორც გარე შემოსევები, ისე შიდა ძალაუფლებისთვის ბრძოლა. თუმცა, ამ პროცესებში ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი ტრადიცია, ქრისტიანულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთიანობა და ძლიერი კულტურულ-სამართლებრივი საფუძველი ეპოქებმა მაინც შეინარჩუნეს.

სწორედ ქრისტიანულმა ღირებულებებმა უზრუნველყვეს შემდგომში ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ანი კაპანაძე
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
მარიამ შენგელია
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ფილოსოფიის დოქტორი, თსუ-ს სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის ასოცირებული პროფესორი კახა ქეცბაია

ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს სოციალური ისტორიის გააზრების შესახებ

ჩვენ გთავაზობთ თეზისში ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს სოციალურ ისტორიას, რომელიც ხასიათდება დინამი-

კური და რთულად სტრუქტურირებული სისტემით, ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და კულტურული პროცესების განვითარებასთან. ამ ეპოქებში ჩამოყალიბდა სოციალური იერარქიის მრავალდონიანი მოდელი, რომლის საფუძველს არისტოკრატიული თავადაზნაურობა, სამეფო ხელისუფლება და სასულიერო წოდება ქმნიდა. აღნიშნულ სამეულს ემატებოდა ქალაქური მოსახლეობა, ხელოსნები და ვაჭრები, რომელთა როლი განსაკუთრებით გაიზარდა ამიერკავკასიის საგზაო-სავაჭრო არტერიებზე საქართველოს ჩართულობის გაძლიერების შედეგად.

სოციალური ურთიერთობების ფორმირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანობის მიღებას (IV სს), რომელმაც რელიგიური იდენტობის განსაზღვრასთან ერთად მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სოციალური ინსტიტუტების ორგანიზებაზე. ეკლესია იქცა არა მხოლოდ სულიერ, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ ძალაუფლებად: მას ეკავა განათლების ცენტრის ფუნქცია, აკონტროლებდა მსხვილ სამონასტრო მეურნეობებს და მონაწილეობდა სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში. სწორედ ამ პერიოდში სოციალური ნორმების, ტრადიციების და სამართლებრივი კოდექსების ისეთი ფორმები დამკვიდრდა, რომლებიც საზოგადოებრივ ურთიერთობებს საუკუნეთა განმავლობაში მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა.

შუა საუკუნეების საქართველოში სოციალური სტრუქტურა კიდევ უფრო რთულდება. ფეოდალური ურთიერთობების გაღრმავებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა გლეხობის სტატუსი და მათი დამოკიდებულება ფეოდალურ მიწათმფლობელობაზე. ვითარდებოდა სამეურნეო პრაქტიკის ახალი ფორმები, იზრდებოდა ქალაქების ეკონომიკური მნიშვნელობა, ხოლო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განსაკუთრებულ სიმაღლეზე ავიდა ისეთი ცენტრები, როგორიცაა გელათი, იყალთო და შიომღვიმე.

ამგვარად, ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს სოციალური ისტორია წარმოადგენს პროცესების ერთმანეთთან კავშირში არსებულ კომპლექსს, რომელიც აერთიანებს პოლიტიკური ორგანიზაციის, რელიგიური სტრუქტურებისა და ეკონომიკური განვითარების ურთიერთდამოკიდებულებას. ამ ურთიერთობათა

ანალიზი საშუალებას იძლევა უკეთ გაიგოს ქართული საზოგადოების ისტორიული ევოლუცია და სოციალური იდენტობის ჩამოყალიბება, რაც დღესაც მნიშვნელოვან კვლევით ღირებულებას ინარჩუნებს.

მართა ქორაია
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს
პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი

წინამოდერნული ეპოქის რეპრეზენტაცია XX საუკუნის 40-50-იან წლებში გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში

ნიკო ბერძენიშვილი ქართული ისტორიული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელია. მის სახელს უკავშირდება არაერთი სამეცნიერო აღმოჩენა, კონკრეტული საკითხების კვლევის ამსახველი თუ პანორამული რეპრეზენტაციის შემცველი მაღალხარისხოვანი სამეცნიერო პუბლიკაციები. ნიკო ბერძენიშვილის შემოქმედება ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არის კიდეც გაანალიზებული და შეფასებული. მაგრამ, ვფიქრობთ, ერთი სფერო მაინც შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. ესაა ნ. ბერძენიშვილის ღვაწლი საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნის საქმეში. მეცნიერი წლების განმავლობაში იყო ჩართული ამ საქმიანობაში თავიდან როგორც მისი ერთ-ერთი ავტორი (საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე. სახელმძღვანელო საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათის აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით, პირველი გამოცემა 1943 წელს და 1946 წლით დათარიღებული ამ წიგნის შევსებული და შესწორებული მეორე გამოცემა), ხოლო შემდეგ როგორც ერთ-ერთი ავტორი და ამავე დროს მთავარი რედაქტორი (საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდე, დამხმარე სახელმძღვა-

ნელო. მთავარი რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი, 1958) სახელმძღვანელოებს აქვთ შესავალი, სადაც მოკლედ აღწერილია ის ისტორიული ვითარება, რომელშიც ხდებოდა სახელმძღვანელოების მომზადება და გამოქვეყნება.

ჩვენ მიზნად დავისახეთ საქართველოს ისტორიაში სახელმძღვანელოს ამ ორი ვერსიის შედარებითი კვლევა. საქმე ისაა, რომ სახელმძღვანელო ისტორიაში და, განსაკუთრებით კი ეროვნულ ისტორიაში, არის პირველხარისხოვანი საისტორიო წყარო როგორც ეროვნული იდენტობის წრთობის პროცესზე დაკვირვებისათვის, ისე მისი წარმომშობი ეპოქის ისტორიული აზროვნების დასახასიათებლად, სახელმძღვანელო ეროვნულ ისტორიაში ფაქტობრივი კოლექტიური მეხსერების ნაწილს წარმოადგენს.

ჩვენი კვლევა წარმოაჩენს დამხმარე სახელმძღვანელოს აღნიშნულ ორ გამოშვებაში წინამოდერნული ეპოქის რეპრეზენტირების თავისებურებებს, აღნუსხავს თუ რა მსგავსება ან განსხვავებაა მათ შორის სხვადასხვა საკითხის გაშუქებისას. ამ ცვლილებების ანალიზი მნიშვნელოვანია როგორც ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების თვალსაზრისის, ასევე მათი შექმნის მეტამეცნიერული კონტექსტის აღსაწერად. მოხსენებაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ქართლის სამეფოს დაარსების ისტორიის გადმოცემისას საქართველოს ისტორიის წინამდერნული ეპოქის ისტორიის ორი მთავარი ადგილობრივი წყაროს – „მოქცევაი ქართლისაის“ და „ქართლის ცხოვრების“ – გამოყენებაზე.

სარჩევი

თეკლა ნოზაძე
გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მაცხოვრებელთა ტანსაცმლის აქსესუარები ნარეკვავის სამაროვნის მასალების მიხედვით 8

ნიკოლოზ ხასაია
ძალისის დიონისური მოზაიკის მიმართება ანტიოქიის მოზაიკურ სკოლასთან: აკრატოსის და ევროკინეს მოზაიკის მაგალითზე 9

ლალი ელიზბარაშვილი
ქალის რელიგიურ-პოლიტიკური როლი შუა საუკუნეების საქართველოში 10

გიორგი თხილაიშვილი
არიანელობა და ქართლი IV საუკუნის I ნახევარში 12

ჟანა გოგიაშვილი
ეგრისში „დიდი ომიანობის“ დაწყების მიზეზების შესახებ..... 13

აბელ გიგიბერია
მენანდრე პროტიქტორის ცნობები სვანეთის შესახებ..... 14

დაჩი ორაგველიძე
ჰაბიბ იბნ მასლამა და არაბობის გავლენა ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე 16

ნოდარ იაშვილი
ოპიზის მონასტერი (კულტურული მნიშვნელობა და ძეგლის თანამედროვე მდგომარეობა)..... 17

მარიანა ჯალაღონია
ეკლესიის საკითხი აფხაზთა სამეფოში: საეპისკოპოსოების დაარსება და მისი მნიშვნელობა..... 19

ნინო ჩინაშვილი, ლიზი კიზირია
გაერთიანების ეპოქა: ბაგრატ III-ის სახელმწიფოებრივი
მისია და ისტორიული მემკვიდრეობა 21

შოთა კენჭოშვილი
საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიიდან
(X საუკუნის II ნახევარი)..... 22

გიორგი სალთხუციშვილი
კვირიკე III დიდი და ბაგრატიონთა სამეფო სახლი..... 24

მარი ნეფარიძე
ოშკი – შუა საუკუნეების ქართული კულტურის ძეგლი
და მისი ხელნაწერი მემკვიდრეობა 26

მარიამ მამისაშვილი
მანგლისის ტაძრის არქიტექტურული და ისტორიული როლი 27

სალომე სამხარაძე
პეტრიწონის მონასტერი – დაარსების მიზეზები, მონასტრის
მნიშვნელობა ქართული კულტურის, მეცნიერებისა და
განათლების საქმეში 28

მარი ბაიდარაშვილი-ფარულავა
დავით IV აღმაშენებელი და კახეთ-ჰერეთის შემოერთება 30

თამრიკო ბოლქვაძე, თამთა მარგველაშვილი
ყივჩაყთა ინტეგრაცია დავით IV აღმაშენებლის
საქართველოში..... 32

ლაშა სულაქველიძე
ყუბასარის საკითხის შესახებ 33

თემურ მეზურნიშვილი
გიორგი III-ის მეფედ კურთხევა და ძელი ცხოვრებისა..... 34

ნიკოლოზ ძიმისტარიშვილი
1184 წლის საეკლესიო კრების პოლიტიკური ასპექტები 35

შუშანიკ მანწკავა
ათაბაგის „ჭელი“ საქართველოში 37

სალომე მამაგეიშვილი, ანასტასია ფერაძე
საჩუქრების მოტივი: „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და „ტრისტანი და იზოლდა“ 38

თამთა გვრიტიშვილი
უსიყვარული ქორწინების ფუნქცია და შედეგები „ლეილი და მაჯნუნსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ 40

ლიკა ვერულიძე
ლაზური საქორწინო ტრადიციები 41

მამუკა ცერცვაძე
საქართველოსა და რომის ეკლესიის დიპლომატიური ურთიერთობა რუსუდან მეფის ლათინურენოვანი წერილის მიხედვით 42

სანდრო გზირიშვილი, ქრისტი თოიძე
სავაზირო, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლება (ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით) 44

გიორგი წიგნაძე, სანდრო ზუხბაია
გიორგი V ბრწყინვალის დიპლომატია და მონღოლები 46

მარიამ ბარბაქაძე, სალომე გიორგაძე
გიორგი V ბრწყინვალეს ძეგლისდება – სამართლებრივი სასჯელები და მათი აღსრულების მექანიზმები 47

ნელი არახამია
ხევისბერის ინსტიტუტი ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით 49

რატი კანაშვილი
ჭავჭავაძეთა გვარის ისტორიისათვის..... 50

ქეთი შოშიაშვილი
ალექსანდრე I დიდის მემკვიდრეები: კახეთის სამეფოს
ჩამოყალიბება XV საუკუნის II ნახევარში 51

ანა ლავრელაშვილი
ბიზანტიის იმპერიის დაცემა და მისი გავლენა
საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე 53

რატი ახლოური
მეფე ლუარსაბ II კათალიკოს-პატრიარქების ბესარიონ
ორბელიშვილისა და ანტონ I ბაგრატიონის ჰაგიოგრაფიული
თხზულებების მიხედვით 55

მარიამ მელაშვილი
ვახტანგ VI-ის სამართალი და მისი მნიშვნელობა
შუა საუკუნეების საქართველოსთვის..... 56

დიმიტრი ღონღაძე
ერეკლე II-ისა და ქეთევან ყაფლანიშვილის მეუღლეობის
საკითხის გარკვევისათვის..... 58

სესილი სამხარაძე
ქართველთა ერთიანი ეროვნული თვითშეგნება
გაერთიანებული საქართველოს დაშლის შემდეგ
(სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის მაგალითზე) 59

ლუკა ნებიერიძე
სამხედრო კვების დრო შუა საუკუნეების ქართულ
ფეოდალურ ლაშქარში (XI-XVIII სს)..... 61

მარიამ ხორბალაძე
XV-XVII საუკუნეების მესხეთიდან საქართველოს სხვა
მხარეებში მოსახლეობის გადასახლების საკითხი
(მიზეზები, შედეგები)..... 63

ლაშა სამხარაძე
მანუჩარ II ჯაყელის რელიგიის საკითხის შესწავლისათვის 65

ნიკოლოზ მაისურაძე
სერ ენტონი შერლი სპარსეთში და მისი თვალით დანახული ქართველები შაჰ აბას I-ის კარზე 67

გიორგი თედიაშვილი
ქართული ციხე-სიმაგრეები (სტრუქტურა, არქიტექტურის განვითარების ძირითადი ეტაპები, თავდაცვითი სისტემა) 68

გიორგი გოგისვანიძე, თეკლე კაცაძე
კათოლიკე მისიონერების თვალით დანახული დასავლურქართული ეკლესია XVII საუკუნეში..... 71

ლილი თაკვარელია, მარიამ დანელია
ფლავიუს არიანეს ხედვა შავი ზღვისპირეთის სარწმუნოებრივ პრაქტიკებზე I-II საუკუნეებში („პერიპლუსის მიხედვით“) 72

ანა მებონია, ნინო ჭაბაშვილი
ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შეფასების შესახებ 74

ანი კაპანაძე, მარიამ შენგელია
ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს სოციალური ისტორიის გააზრების შესახებ 75

მართა ქორაია
წინამოდერნული ეპოქის რეპრეზენტაცია XX საუკუნის 40-50-იან წლებში გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში 77

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი, 2025

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house

უნივერსიტეტის
გამომცემლობა